140
1958/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

№ 12 დეკემბერი 1958

მუსიკა ს. ცინცაძისა

ტექსტი პ. გრუზინსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომკავშირული




ჩვენს სამშობლოში ყველა მღერის
და ჩვენც სიმღერით ავიდგით ენა.
გვიყვარს ქარხნების საყვირთა ხმა
და ბულბულების ხმატკბილი სტვენა.

მისამღერი

და ვარსკვლავი ლალისა,
ღამეა, ნისლი თუ თენდება,
ვით მომავლის შუქურა,
ანთია და მარად ენთება.

ყველა სიმღერა მხოლოდ ჩვენი
დიდი სამშობლოს ქებად გვწადია.
გულში ხალისი ღვივის მარად,
ჭირშიც ვერავინ გვნახავს დარდიანს.

მისამღერი

„კომკავშირული“ აღინიშნა პირველი პრემიით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

12

დეკემბერი
1958

7556

გამოცემის წელი
XXXII

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი

## შინაარსი



გვ.
პიონერის კლუბი . . . . . . . . . . . 2
ა. ონელი — პირველი თოვლი (ლექსი) . . . 5
რ. თვარაძე, ა. ხულაკაური — ჩვენი ეზო (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . . . . . . . . 6
ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . . . 15
ლ. გაგლოევა, რ. პერკინა — საქართველოს პიონერთა მეხუთე შეკრება (წერილი) . . . . 16
ს. ფხაკაძე — ხარბი თვალი (ზღაპარი) . . . . 18
ხ. ბერულავა — ხარბი კაცის ამბავი (ჩინური ზღაპარი) . . . . . . . . . . . . . . . . 18
ა. ბელიაშვილი — მხატვრის შეგირდი (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . 20
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . . 26
ს. ხსირტლაძე — ქართული ნაბეჭდი წიგნის თავგადასავალი (წერილი) . . . . . . . . . . 27
ვპასუხობთ შეკითხვებზე . . . . . . . . 30
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 30
კაუჩუკი — სიკვდილია! (ზანგური სიმღერა, თარგმნა მ. ლებანიძემ) . . . . . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31
იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . 32
საჭადრაკო კონკურსის შედეგები . 32
ო. შალამბერიძე — დიდება წელო ახალო! (ლექსი) გარეკანის . . . . . . . . . . . . . . . . 4
ს. შამფრიანი — ახალი წელი (ლექსი) . . . . . გარეკანის . . . . . . . . . . . . . . . . 4









გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ირ. გორდელაძეს, გარეკანის მეორე გვერდზე „კომკავშირული“ — მუსიკა ს. ცინცაძისა, ლექსი პ. გრუზინსკისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. ცუცქირიძის, ლ. ცუცქირიძის, ნ. შალიკაშვილის და გ. როინიშვილის მიერ.

საჯარო ბიბლიოთეკა

# პიონერის კლუბი



ბავშვებო, «პიონერის კლუბის» სახელზე რედაქციაში მრავალი წერილი მოდის. პიონერები ამ წერილებში უმთავრესად თავიანთი რაზმების საქმიანობაზე მოგვითხრობენ. აი, გავხსნათ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემობოდბის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის — თინათინ გოგოლაშვილის ბარათი. თინათინის რაზმი თავისი კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმას ეხმარება. პიონერები ღორებისათვის საკვებს ამზადებენ, მათ ბინებს ასუფთავებენ.

მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელებს ძალიან უყვართ თავიანთი სკოლა. ალამაზებენ, ამწვანებენ მის ეზო-გარემოს. სწორედ მათ დარგეს და გაახარეს სკოლის ეზოში ორმოცი ძირი ჭადარი. «პიონერის კლუბს» ეს ამბავი მოსწავლე მაყვალა ხომერიკმა შეატყობინა. მაყვალას ტოლია ყვარლის რაიონის სოფელ საბუის პიონერი ქეთევან დოლაშვილი. მისი რაზმი მეაბრეშუმეობითაა გატაცებული. თვითონ ქეთევანმა, თავის ორ მეგობართან ერთად, ამ ზაფხულს, 4 გრამი აბრეშუმის ჭიის მურიდან 25 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო.

კარგ პიონერს არასოდეს დაავიწყდება, რომ მისი მოვალეობაა დაეხმაროს უფროსებს. ყვარელის რაიონის სოფელ საბუის მეხუთეკლასელ პიონერებს მართლაც არ ავიწყდებათ ეს. საბუის ახლოს ერთი ადგილია, რომელსაც «ფიქალებს» უწოდებენ. იქ 105 წლის პაპა რომანოზი ცხოვრობს. საბუელი პიონერი ქეთევან ნანიკაშვილი თავის ამხანაგებთან ერთად პაპა რომანოზის ხშირი სტუმარია. პაპა მათ ძველისძველ ამბებს უყვება ხოლმე. სამაგიეროდ გოგოები მის ბოსტანს თავგამოდებით უვლიან. ქეთევან ნანიკაშვილს ძალიან უნდა «პიონერის კლუბის» სხვა წევრებმაც უამბონ ტოლებს თავიანთი საქმიანობის შესახებ. და აი, დღეს, «პიონერის კლუბის» სხდომაზე მოვიდნენ პიონერები: მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის მოსწავლე გივი თათარაშვილი, დიღმელი მზია კოლოტაური, თბილისელები ნათელა ნამორაძე და როზა კალმახელიძე. ისინი გვიამბობენ, თუ როგორ მუშაობენ მათი რაზმები, რგოლები, პიონერის ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის მიხედვით.

მეგობრებო, მოვუსმინოთ «პიონერის კლუბის» აქტივისტებს.

☆

## ნათელი ადგილები

რაიონი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და ვსწავლობთ, დიდი ლენინის სახელს ატარებს. მერე და, ეს შემთხვევითი როდია. თბილისში პირველი რევოლუციური გამოსვლები ნაძალადევში მოეწყო. აქ ჩაისახა მუშათა პირველი მარქსისტული წრეც, მაგრამ ჩვენი რაზმიდან ყველა როდი იცნობს კარგად ნაძალადევის ისტორიულ წარსულს. კინო „განთიადში" თითქმის ყოველ კვირა დავდივართ. არაერთხელ წაგვიკითხავს შენობის თავზე მინაწერი: „ქავთარაძის სახელობისა". მაგრამ არასოდეს არ დავინტერესებულვართ, თუ ვინ იყო ლადო ქავთარაძე. ხუდადოვის ტყეში გვინახავს ძმათა სასაფლაოც, მაგრამ ვინ იყვნენ აქ დაკრძალული — ეს არ გვიკითხავს. ზოგიერთმა ჩვენგანმა ისიც არ იცოდა, თუ სად და როდის მოაწყეს მაისობა თბილისელმა მუშებმა.

ნორჩი პიონერის მეორე საფეხურში სწერია: უნდა იცნობდე იმ ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს, რომლებიც შენს რაიონშია.

ჰოდა, ჩვენმა რაზმმა გადაწყვიტა, შეგვესწავლა ლენინის რაიონში არსებული რევოლუციური ადგილები.

ჯერ იყო და, რაზმის შეკრებაზე მოვიწვიეთ ძველი რევოლუციონერის — ლადო ქავთარაძის შვილი ალექსანდრე, რომელიც ამჟამად კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში კადრების განყოფილების გამგედ მუშაობს. მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გვიამბო თავისი მამის ცხოვრებიდან. ლადო რამდენჯერმე ყოფილა გადასახლებული რევოლუციური საქმიანობისათვის. 1921 წელს აქტიური მონაწილეობა მიუღია მენშევიკური მთავრობის დამხობაში. ლადო იყო პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი. აკი ამიტომაც სათუთად ინახავს ხალხი მის უბრალო და სადა საფლავს, რომელიც ლოტკინის გორაზე ერთ-ერთ პატარა ბაღშია.

რაზმის პიონერები წავედით ლენინის მუზეუმის თბი-

ლისის ფილიალში. აქ მოგვითხრეს 1905 წელს, ნაძალადევში მცხოვრებ მუშებსა და მეფის ჟანდარმებს შორის მომხდარ შეტაკებაზე, რომლის დროსაც მოკლეს 9 რევოლუციონერი მუშა: გიორგი ელიავა, გრიგოლ ჯაში, იესე ცინცაძე, ვასო თვარაძე, ტუხა ლაბიაშვილი, ვანო ხუცურაული, მინა კილაძე, გერმანე დვალი და ილიკო ნინიძე. დაღუპული მოძმეები მუშებმა ხუდადოვის ტყეში დაკრძალეს. მათ პატივსაცემად ტყის ახლოს ამავალ ერთ-ერთ ქუჩას ახლა 9 ძმის სახელი ჰქვია.



ვიყავით თბილისის ზღვის მიდამოებშიც, სადაც 1901 წლის პირველ მაისს თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია მოეწყო. შევხვდით ძველ რევოლუციონერს ალექსი ზაკომოლდინს. პატივცემულმა ალექსიმ ბევრი საინტერესო ეპიზოდი მოგვითხრო. იგი თურმე ამ მაისობის დროს გუშაგად მდგარა მთავარ გზაზე, რომ ჟანდარმები მოულოდნელად არ დასხმოდნენ დემონსტრანტებს და ხელი არ შეეშალათ მათთვის.

ისტორიის მასწავლებელმა გვიამბო იმის შესახებ, თუ როგორ ჩაუდგა სათავეში ჭაბუკი სტალინი დეპოს მარქსისტულ წრეს და როგორ აღვივებდა მუშებში რევოლუციურ ნაპერწკალს.

ახლა ჩვენი რაზმის პიონერებს ნათელი წარმოდგენა გვაქვს რევოლუციური ტრადიციებით მდიდარ ლენინის რაიონის ისტორიაზე.

**ნათელა ნამორაძე,**

თბილისის მერვე საშუალო სკოლის მე-6
კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

## მუშაობა სახალისო გახდა

პიონერულ საფეხურებზე ბევრი ვისაუბრეთ. რაზმეულის პიონერებს გვაინტერესებდა, საფეხურის მოთხოვნების შესრულება ყველას ერთად უნდა დაგვეწყო, თუ ცალცალკეც შეიძლებოდა; რაზმის ყველა წევრს ერთდროულად უნდა შეესრულებინა ესა თუ ის მოთხოვნა, თუ შეიძლებოდა, ვთქვათ, ერთ რგოლს ერთი მოთხოვნა შეესრულებინა, მეორეს—მეორე?

გადავწყვიტეთ ისე მოვქცეულიყავით, როგორც მოგვეხერხებოდა. მაგალითად, დიდუბის ახალი პარკ-პავილიონის მშენებელთა დასახმარებლად მთელი რაზმეული წავიდა. მესამე საფეხურის პიონერებს ხომ მშენებლობა და საზოგადოებრივ შრომაში უფროსებისადმი მიხმარება ევალებათ, მეორე საფეხურის პიონერებს კი მწვანე ნარგავების მოვლა, დარგვა და გახარება მოეთხოვებათ. პარკში ორი დღე ვიმუშავეთ, 8000 კვადრატული მეტრი ფართობი გავწმინდეთ ქვა-ღორღისა და ნაგვისაგან, ნერგებისათვის კი პატარა ორმოები ამოვთხარეთ.

სანერგის დირექტორმა შალვა ბახტაძემ შეგვიჯამა ნამუშევარი, რამაც 240 კაცსაათი შეადგინა.

იმ ხანებში ჩვენი სკოლის ხელოსანი როლანდ ჯანიაშვილი ჯარში გაიწვიეს. მეშვიდეკლასელმა ბიჭებმა იკისრეს სასკოლო ინვენტარის, მერხებისა და სკამების შეკეთება და კიდეც შეასრულეს დაპირება. განსაკუთრებით მარჯვედ იმუშავეს ომარ თვალიაშვილმა, მაცი კოლოტაურმა, იროდი ქუცნიაშვილმა, ბიჭიკო ხელაშვილმა და სხვებმა.



დავეხმარეთ დიღმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას ხილის კრეფასა და ბალახის შეგროვებაში.

ყველაფერი ეს აღვნიშნეთ რაზმეულის სპეციალურ რვეულში, მერე და, ეს ხომ დასაწყისია! პიონერთა ცოდნისა და ჩვევების ნუსხა სახალისოს ხდის ჩვენს საქმიანობას, იგი დაგვეხმარება მომავალ მუშაობაში.

**მზია კოლოტაური,**
**დილმის საშუალო სკოლის**
**რაზმეულის საბჭოს წევრი.**

## გვეწვიეთ სადილზე

გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ ხშირად იბეჭდება ცნობილი კულინარის ნინო ხოფერიას წერილები. დეიდა ნინოს წერილები დიდ დახმარებას გვიწევს პიონერის საფეხურებზე მუშაობის დროს. ჩვენ გვინდა უფრო კარგად ვისწავლოთ საოჯახო საქმეები, დავეხმაროთ უფროსებს სადილის დამზადებაში, ავეჯის მოვლაში... დეიდა ნინო კი გაზეთის საშუალებით ბევრ კარგ რჩევა-დარიგებას გვაძლევს, და აი, ჩვენმა რგოლმა გადაწყვიტა ასეთი შეკრება მოგვეწყო: „გვეწვიეთ სადილზე“.



ცნობილი კულინარი დეიდა ნინო ადრე მოვიდა და მანაც მიიღო მონაწილეობა ჩვენს საქმიანობაში. ზემოთ როზა კალმახელიძე.

ოჯახიდან მოვიტანეთ: კვერცხი, ნედლი ლობიო, კარტოფილი, კიტრი, ჭარხალი, ხახვი, სტაფილო და ყოველნაირი მწვანილი. სკოლის ბუფეტის გამგემ — დეიდა ანიკომ სასადილო ოთახი დაგვითმო და საქმიანობას შევუდექით. ძალიან ვცდილობდით, ვღელავდით. ხუმრობა ხომ არ არის, ამ სადილზე სწორედ დეიდა ნინო მოვიწვიეთ. მაგრამ დეიდა ნინო უფრო ადრე მოვიდა. მას აინტერესებდა ჩვენი საქმიანობა. ჩვენი რგოლის გოგოები გარს შემოვეხვიეთ დეიდა ნინოს. ყველანი აქ ვიყავით: ლიანა გოდერძიშვილი, ნათელა მურადოვა, ელისო კაპანაძე, ნანული მინასოვა, სუსანა მაღალიანი. ვრეცხავდით მწვანილს, ვფცქვნიდით კარტოფილს, ვხეხავდით სტაფილოსა და ჭარხალს. სამზარეულო მაგიდას ვერაფრით ვერ მოვაშორეთ ბიჭები. ფრიდონ ჯოჯუა და თეიმურაზ ბოჭორიძე ნედლ ლობიოს დაუტრიალდნენ. დეიდა ნინომ გვითხრა, ბიჭებს ნუ დაუშლით, დაე, მაგათაც ისწავლონო. დეიდა ნინომ ბევრი რამ გვასწავლა. მან გვითხრა, რომ ნამზადი არა მარტო გემრიელი უნდა იყოს, არამედ ლამაზადაც უნდა გამოიყურებოდესო. ამ სილამაზისთვისაა საჭირო, მაგალითად, სალათაზე სტაფილოსა და წითელი ჭარხლის არშიების შემოვლებაო. გავიგეთ ისიც, რომ სადილის მზადებისას, ბოსტნეული წინასწარ არ უნდა დავჭრათ და გავხეხოთ. რადგან, თუ ასე მოვიქცევით, ბოსტნეულის ძვირფასი ვიტამინები გაქრება. დეიდა ნინომ გვასწავლა ნედლი ლობიოს შემზადების ახალი წესი. მოვხარშეთ კვერცხებიც. აქაც საინტერესო რამ შევიტყეთ: თურმე კვერცხი თოხლოდ ამ წესით უნდა მოვხარშოთ: ავიღოთ მდუღარე წყალი და კვერცხს დავასხათ. შემდეგ რაიმე ხუფი დავახუროთ. ესე იგი კვერცხი არ უნდა ვადუღოთ წყალში. 5 წუთის შემდეგ თოხლო კვერცხი მზად გვექნება. მაგრად მოხარშული კვერცხი თუ გვინდა, ის 3 წუთის განმავლობაში უნდა ვადუღოთ.

იმ დღეს „ბორშჩის“ დამზადებაც ვისწავლეთ. დღის ბოლოს, როცა ლამაზად გადაშლილ სუფრას გადავხედეთ, ჩვენც და ჩვენი ძვირფასი სტუმარიც — დეიდა ნინოც მეტად კმაყოფილნი დავრჩით.

**როზა კალმახელიძე,**

**84-ე სკოლის მე-4 რაზმის**
**მე-2 რგოლის ხელმძღვანელი.**

## ცურვა შევისწავლეთ

მცხეთიდან სამხედრო გზას რომ გამოჰყვებით, მეშვიდე კილომეტრზე ხილის ბაღებში ჩაფლული სოფელი შეგხვდებათ.

ეს ჩვენი ნისაქციელია.

ძალიან გვიყვარს ჩვენი სოფელი. განსაკუთრებით ზაფხულობითაა იგი ლამაზი...

კოლმეურნეობას ამ ზაფხულსაც თავთავის აკრეფაში ვეხმარებოდით. და აი, ერთხელ სოფლის ფოსტალიონმა

„ნორჩი ლენინელი“-ს ახალი ნომერი მოგვიტანა. მასში პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხა იყო დაბეჭდილი. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ვანო ხვედიაშვილმა მაშინვე ირგვლივ შემოგვიკრიბა და გაზეთი წაგვიკითხა. პირველი საფეხური რამდენჯერმე წავიკითხეთ, რადგან მეოთხეკლასელებს პირველი საფეხურის შესრულება გვევალებოდა.

— ტყუილად გვიშრომია, გოგოებო!—იხუმრა ციალა კენკიაშვილმა.—შეხედეთ, საფეხურის მიხედვით მოსავლის აღება მეშვიდეკლასელებს ევალებათ!

რა თქმა უნდა, არც იმ დღეს და არც მერე თავთავის კრეფა არ მიგვიტოვებია. მხოლოდ ის კი არ ვიცოდით, საიდან დაგვეწყო საფეხურების მიხედვით მუშაობა. ამაში პიონერხელმძღვანელი რუსუდან ჩალაგაშვილი დაგვეხმარა.

— სულერთია საიდან დაიწყებთ,—გვითხრა მან.—სანამ კარგი დარებია, მაგალითად, შეიძლება ცურვა ისწავლოთ, ან სოკოს გამოცნობას მიეჩვიოთ, ან ბეღურებს ბუდეები დაუდგათ.

ჩვენს რაზმში მარტო თენგიზ ჩანადირმა იცოდა კარგი ცურვა. თენგიზი ბაყაყივით ცურავს, არხს კი არა, არაგვსაც არ უშინდება. მერე როგორი ჩახტომა იცის!... არხს რომ ჩასაკეტი რაბი აქვს, სიმაღლე ორი მეტრიც ექნება, აი იქიდან თავდაყირა ეშვება წყალში. ჰოდა, ვთხოვეთ თენგიზს ჩვენთვისაც ესწავლებინა ცურვა.

ერთ თაკარა დღეს პირველი რგოლის პიონერები არხზე წავედით. ტანთ გავიხადეთ და წყალში შევცვივდით, აჩქეფდა, ადგაფუნდა წყალი. მაგრამ ეს ჯერ ცურვას არ ნიშნავდა.

— აი, ასე... ფეხები ამოძრავეთ... ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა...

თავდაპირველად გაგვიჭირდა. მე, მაგალითად, მკლავურს რომ მოვუსვამდი, სუნთქვა შემეკვრებოდა ხოლმე, ასე მეგონა ვიხრჩობი-მეთქი. მაგრამ მერე და მერე შევეჩვიე. გოგონებიდან ცურვა ყველაზე ადრე ციალა კენკიაშვილმა ისწავლა. იმას მიჰყვა ტასო ელიაშვილი, თინა ჩაჩხიანი. ბიჭებიდან მურაზ ხუროშვილისა და სოზარ ფოცხვერაშვილს გაუჭირდათ წყალს ზემოთ გაჩერება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინიც შეეგუენ ლივლივა წყალს.

ახლა პირველ რგოლში ყველამ ვიცით ცურვა.

მეორე რგოლის პიონერები რამდენჯერმე გავიდნენ ტყეში და სოკოების შერჩევაზე ივარჯიშეს. შევთანხმდით, ჩვენ მეორერგოლელებისათვის ცურვა უნდა გვესწავლებინა, მათ კი შხამა და საჭმელი სოკოების გამოცნობა.

ასეც მოვიქეცით. ბოლოს რაზმის რვეულში ჩავწერეთ, რომ რაზმმა შეასრულა პირველი საფეხურის ორი მოთხოვნა.

**გივი თათარაშვილი,**

მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის
საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.
I რგოლის ხელმძღვანელი.



# პირველი თოვლი

მთის მწვერვალიდან ზამთარმა
გადმოიხედა ბარად,
თქვა:—დროა ბარსაც ვესტუმრო,
თეთრო მერანო, ჩქარა!

ქარია, სდუმან ტყეები,
გარინდებულა ველი...
იმ მერანს ჩვენი გურამი
გულისფანცქალით ელის.

და აი, სიხხამ დილაზე,
შორი ქედების მოვლით,
აქაც, ჩვენს კარ-მიდამოშიც,
გაჩნდა პირველი თოვლი.

თეთრი ზამბახი ულევად
ცვივა და ცვივა ციდან,
საბრძოლოდ გამზადებულან
თხილამური და ციგა.

სკოლისკენ მიდის გურამი
და მითოვლაობს თანაც.
სოფელში, ყოველ სარკმელთან,
ნაძვის ხეები ჩანან...

მაღლა ახედავს—ალმასი!
დაბლა დახედავს—ბროლი!
ახალი წელი კარზეა,
ბრწყინავს ახალი თოვლი.

არნო ონელი



რევაზ თვარაძე
არჩილ სულაკაური

ნახ. რ. ცუცქირიძის

# ჩვენი ეზო

## თავი მეათე*

ბავშვებს უკვირდათ: არტემ მექვაბიშვილმა მეორე და მესამე დღესაც დაათვალიერა ყოფილი სამრეცხაო. ჯიბეში ხელებჩაწყობილი უსიტყვოდ შედიოდა და გამოდიოდა. რატომ აკეთებდა ამას — ვერაფრით გაეგოთ; მიტოს უთხრეს: შენ გეცოდინება და გვითხარიო, მაგრამ მან არაფერი იცოდა. მხოლოდ ალღოთი გრძნობდა, რომ არტემი სასიკეთოდ არ ათვალიერებდა მათ ოთახს.

მექვაბიშვილს მართლაც მოსვენებას არ აძლევდა ყოფილი სამრეცხაო: „რა კარგად გაულამაზებიათ,— იმეორებდა გულში,—არა, უნდა წავართვა, წავართმევ კიდეც, ვინ დამიშლის! ჩემს სახლზეა მოდგმული — მაშასადამე ჩემია! აბა, გაბედონ და რამე მითხრან!“

არტემ მექვაბიშვილი ადრე თელავის მკვიდრი იყო. სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობის შემდეგ თელავში აღარ დაბრუნებულა, ცოლ-შვილს მისწერა: თქვენთან ცხოვრება აღარ შემიძლია, დამივიწყეთო, და თბილისში დასახლებაზე ზრუნვას შეუდგა.

თავის ღვიძლ დას — ბეჟანის დედას უთხრა: ჩემო საყვარელო დაო, დროებით უნდა შემიკედლო, ვიდრე ოთახს ვიშოვიდეო. ბეჟანის დედა, რა თქმა უნდა, დათანხმდა და არტემმა თითქმის ერთი წელი დასთან გაატარა. მერე როგორღაც გაიგო, რომ მეზობელ ქუჩაზე ქვრივი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა — მიტო. არტემი ყოველ დღე დადიოდა ქვრივის სახლის წინ, ხანდახან მიტოს გამოელაპარაკებოდა, ასაჩუქრებდა კონფეტებით და ათასნაირი სათამაშოებით. მიტოს საშუალებით გაიცნო მისი დედაც.

არტემს მიზნად ჰქონდა: მიტოსთან კარგი დამოკიდებულებით ქვრივის გული მოეგო და მერე ხელში ჩაეგდო მისი ბინა. მიტოს დედას ეფიცებოდა: ნამდვილ მამობას გავუწევ შენს შვილსო, უმამობას არ ვაგრძნობინებ, არავის დავაჩაგვრინებო. საბრალო დედა ფიქრობდა, მიტოს მართლა გაუწევს მამობასო. დაუჯერა და შინ შეუშვა. რვა წელი გავიდა მას შემდეგ და როგორი მამობაც გაუწია, ყველა ხედავდა.

გადიოდა დღეები. ჩვენი ფეხბურთელები სკოლიდან დაბრუნებულნი გაკვეთილებს მიუსხდებოდნენ, მერე კი ფეხბურთს თამაშობდნენ,—საქალაქო პირველობისათვის ემზადებოდნენ.

ერთ ღამეს მიტო უკვე ლოგინში იწვა და კედლისაკენ გადაბრუნებული ძილს აპირებდა. უცებ იგრძნო

---

* დასასრული. იხ. „პიონერი“ №№ 10 და 11.

არტემი ფეხაკრეფით მიუახლოვდა და დააკვირდა. ალბათ იმის გაგება უნდოდა, სძინავს თუ არაო. მიტომ თავი მოიმძინარა.

არტემმა კარი გააღო და გარეთ გავიდა. მიტოს ესმოდა, ფრთხილმა ნაბიჯებმა როგორ ჩაიარეს კიბეები. შეშინებული ლოგინზე წამოჯდა. გავიდა ერთი წუთი. მიტო საწოლიდან ჩამოხტა და ფანჯრისაკენ გაიქცა. ფარდის კუთხე გადასწია და გაიხედა.

— ვაიმე! — აღმოხდა უნებურად.

სამრეცხაოდან ვიღაცამ გამოჰყო თავი და მიიხედმოიხედა. მერე ქაჯივით გამოხტა, გაქცევა დააპირა. მაგრამ ლანდი არ გაქცეულა. არტემ მექვაბიშვილი ქურდული ნაბიჯებით მიუახლოვდა უცნობს.

არტემი და უცნობი ერთ ხანს ლაპარაკობდნენ, ეტყობა, ჩურჩულებდნენ, რადგან არტემს პირი ზედ უცნობის ყურთან ჰქონდა მიტანილი. მერე უცნობმა რაღაც საგანი აჩვენა. როგორც ჩანს, არტემს მოეწონა, რადგან მხარზე ხელი დაჰკრა. უცნობი ამის შემდეგ დიდხანს არ გაჩერებულა, ჭიშკრისაკენ გაიქცა და თვალს მიეფარა. ხოლო არტემი მივიდა სამრეცხაოს კართან და ერთი წუთის შემდეგ გამობრუნდა.

მიტო ისევ ლოგინში შეწვა, კედლისაკენ ჰქნა პირი და თავი მოიმძინარა. ოთახში არტემი შემოვიდა, ისევ გაისმა რკინების ჩხრიალი. — ახლა წავიდნენ და მიჩივლონ, ოთახი ჩემია! — თქვა არტემმა ხმამაღლა.

მეორე დღეს სკოლაში მიმავალმა მიტომ თავიანთ ოთახს წინ ჩაუარა. ოთახს უზარმაზარი ბოქლომი ედო.

## თავი მეთერთმეტე

სკოლაში ბიჭებმა შეამჩნიეს — მიტო რატომღაც გაურბოდა მათ.

„რაღაც აწუხებს და არ მეუბნება“, — გაიფიქრა გიგიმ. შემდეგ რამდენჯერმე კიდევ სცადა გაეგო მიტოს უგუნებობის მიზეზი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მხოლოდ გზაში, როდესაც სკოლიდან ბრუნდებოდნენ, გაანდო თავის გულისწუხილი მიტომ. გიგიმ არაფრით არ დაიჯერა.

— მიხვალ და შენი თვალებით ნახავ, რამხელა ბოქლომი ადევს.

— მერე, რატომ არ მითხარი, რატომ მალავდი?

— რა ვიცი... მეშინოდა.

— უჰ, რა მშიშარა ხარ!.. გეშინოდა! ადრე თუ გვიან ხომ მაინც გავიგებდით? — ჩაიქნია ხელი გიგიმ და წინ მიმავალ ბიჭებს დაუძახა. ნიკა, თამაზი და ზაური მოტრიალდნენ. გიგი და მიტო მივიდნენ მათთან და გიგიმ მოუთხრო მათ წუხანდელი ამბავი. ბიჭები ჩაფიქრდნენ.

— ჩვენს ოთახს ვერავინ წაგვართმევს! — კატეგორიულად განაცხადა გიგიმ, — ნუ გეშინიათ, აბა, წავიდეთ!

გიგი თითქმის სირბილით გაუძღვა ბიჭებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ყოფილი სამრეცხაოს წინ ტრიალებდნენ.

— ძია ლევანს ვთხოვოთ, დაგვეხმარება, — თქვა ვოვამ. ისიც ახლა ხანს მოსულიყო სკოლიდან და თავისი ზურგზე მოსაკიდებელი ჩანთით ბიჭებს შორის ტრიალებდა.

— ჯერ ჩვენ თვითონ მივიდეთ არტემ ძიასთან და ვუთხრათ, რომ ოთახი ჩვენია, რომ მას უფლება არა აქვს...

— არტემი შინ არ არის, — გააწყვეტინა გიგის მიტომ.

— ფანჯარა რომ ღიაა?

— მაგ ფანჯარას ხანდახან ღიად სტოვებს...

— ბიჭებო, ბოქლომი გავტეხოთ! ჰა, რას იტყვით?! — წამოიყვირა ნიკამ.

— გავტეხოთ! გავტეხოთ! — აიტაცეს ნიკას წინადადება აღტაცებულმა ბიჭებმა.

— მაგხელა ბოქლომს როგორ გავტეხავთ? — დაეჭვდა თამაზი.

— რას ლაპარაკობ, — მიუგო ნიკამ, — ამდენი ვართ, მოვერევით.

— ბიჭებო, — მიმართა მიტომ მთრთოლვარე ხმით, — ბოქლომს ნუ გატეხავთ, გასაღებს მოვიტან.

— საიდან მოიტან?

— ფანჯარაში გადავძვრები. ოღონდ ის კიბე მოვათრიოთ.

ყველას მოეწონა მიტოს აზრი. კიბე მოათრიეს და არტემ მექვაბიშვილის შუშაბანდს მიადგეს. მიტო აჰყვა კიბეს და ღია ფანჯარაში გადაძვრა. ბიჭები ეზოში იდგნენ და ელოდნენ. ფანჯარაში მიტოს მომღიმარი სახე გამოჩნდა.

— ვიპოვე, ბიჭებო!

— ვაშა! — შეჰყვირეს ბიჭებმა.

მიტო სწრაფად ჩამოვიდა და გასაღები გიგის მისცა. გიგიმ გულდასმით შეათვალიერა და ყოფილი სამრეცხაოს კარს მიადგა. ბიჭების ჯგუფი უხმოდ მიჰყვა. გიგიმ ბოქლომს მოარგო გასაღები, გადაატრიალა. რამდენიმე ბიჭმა ხელი ჰკრა კარს და კარი ჭრიალით გაიღო.

— ვაშა! — ისევ შეჰყვირეს ბიჭებმა და ყიჟინით შეცვივდნენ ოთახში...

ყიჟინა უმალ შეწყდა. ბიჭები თავიანთ ოთახს ვეღარ სცნობდნენ. სკამები წაქცეული იყო, მაგიდა აღარ იდგა თავის ადგილზე, ყუთები, რომლებიც კარადების მაგივრობას სწევდნენ, სულ მთლად აენგრია ვიღაცის ბოროტ ხელს. მაისურები და ტრუსები უწესრიგოდ ეყარა. ბიჭებს იმ წუთშივე თვალში ეცათ, რომ ბურთი თავის ადგილზე აღარ იდო.

— ბურთი წაუღია, — ჩაიქნია ხელი ვოვა ვოლკოვმა.

— ბურთი სხვამ წაიღო, — თქვა მიტომ.

— ვინ? — ერთად შეეკითხნენ ბიჭები.

— ვინ იყო, ვერ ვიცანი. — და მიტომ უამბო, რაც ნახა.



— მოიცადეთ ბავშვებო!... ბეჟანს თქვენთვის ბურთი არ მოუპარავს.

ბიჭები საგონებელში ჩაცვივდნენ. ვინ უნდა ყოფილიყო ის უცნობი, რომელიც არტემის მისვლამდე მათ ოთახში იყო?

— სიბნელეში ვერ გავარჩიე.

— ბეჟანი იქნებოდა!—წამოიყვირა ნიკამ.

— ბეჟანი?—იკითხა გიგიმ.—ბეჟანს როგორ ვერ იცნობდა მიტო?

— ბეჟანის მეტი არავინ წაიღებდა მაგ ბურთს,—უპასუხა ნიკამ დაბეჯითებით.

— წავიდეთ!—აყვირდნენ ყველანი.

— მოიცადეთ!—გადაეღობა ბიჭებს მიტო,—სანამ წავალთ, ჩვენი ოთახი დავკეტოთ... გასაღები უნდა დავდო თავის ადგილზე, თორემ...

— ეს გასაღები ახლა ჩვენია,—წამოიძახა ვილაცამ.

— რას ამბობთ, ბიჭებო! არტემი მომკლავს.

— ნუ გეშინია,—დააიმედეს ბიჭებმა.

მიტომ მეგობრები ვერ შეაჩერა. მათ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს, ბოქლომი და გასაღები აღარ დაებრუნებინათ, რადგან ბიჭების შეგროვილი ფულით ნაყიდი კლიტე გატეხილი იყო. ბიჭები ხმაურით გამოვიდნენ გარეთ და მიტოც თან გამოიყოლეს.

გარეთ მათ ახალი წინააღმდეგობა ელოდებოდათ. არტემ მექვაბიშვილი მოსულიყო და გაცეცხლებული მთელ ეზოში გაჰყვიროდა,—ჩემი სახლი ეზოს ბავშვებმა გაქურდესო.

შენობის ფანჯრები ისევ გაიღო. თავები გადმოჰყვეს მეზობლებმა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სესილია კოკოჩაშვილმა. მან მრავალმნიშვნელოვნად ახედა ყველა მეზობელს, მერე დასძინა:

— ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა.

— ახლავე წავალ მილიციაში და ყველას დავაჭერინებ!—გაჰყვიროდა არტემ მექვაბიშვილი.

ხმაურზე გიგის მამიდა და რამდენიმე ბიჭის მშობელი ჩამოვიდა ეზოში. დაინტერესებულებმა გაიგეს რაშიც იყო საქმე. დააპირეს არტემისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ არტემს მათზე უფრო ძლიერი ხმა ჰქონდა და არავის აცლიდა ლაპარაკს.

— რა უფლებით დაადეთ კლიტე ბავშვების ოთახს?—შეეკითხა გაბრაზებული მამიდა ნინო,

— ეგ ჩემი ოთახია. თქვენ ვინ გეკითხებათ!—არ ცხრებოდა არტემი.

— ჩვენ თვითონ წავალთ მილიციაში და მოვაგვარებთ ამ საქმეს,—ამბობდა ვოვა ვოლკოვის დედა.

— თქვენი შვილი ქურდია,—მიმართა არტემმა,—ესენი ყველანი ქურდები არიან. აი კიბე,—მან თითი გაიშვირა კიბისაკენ, რომელიც შუშაბანდთან, ღია ფანჯრის წინ იყო მიდგმული.

— ჩემს მეტი ოთახში არავინ გადასულა. მე გადაველი, გასაღები მე გადმოვიტანე,—თქვა მიტომ.

არტემ მექვაბიშვილი გაშრა. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ისე შეხედა მიტოს, თითქოს გაქრობას უპირებდა.

ეზოში მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა. არტემმა გადახედა ყველას და უხმოდ წავიდა თავისი სახლისაკენ. აიარა კიბე და ოთახში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარაში გამოჩნდა, მოჰკიდა ხელი მიდგმულ კიბეს და გადააგდო. მერე ერთხელაც მოავლო მრისხანე თვალები ეზოში მდგომთ და ფანჯარა მიხურა.

— ბიჭებო, წავიდეთ! — გასცა ბრძანება გახარებულმა გიგიმ. მას ბრძოლა უკვე მოგებულად მიაჩნდა.

— სად მიდიხართ? — იკითხა მამიდა ნინომ.

— ბეჟანთან, ჩვენი ბურთი უნდა მოვიტანოთ, — უპასუხეს ერთხმად ბავშვებმა. ბიჭები უკვე ჭიშკართან იყვნენ მისულნი, რომ გაისმა ძახილი:

— მიტო!

მიტო მობრუნდა. ღია კარებში იდგა არტემ მექვაბიშვილი.

— მე ვერ წამოვალ, ბიჭებო.

— კარგი, ჩვენ ახლავე დავბრუნდებით.

ბიჭები წავიდნენ. მიტო ნელი ნაბიჯით გაბრუნდა უკან.

## თავი მეთორმეტე

ფიქრებში გართული ელენე მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ შინ ბრუნდებოდა. გავიდა მეორე საპროექტო ქუჩაზე, სადაც ბეჟანი ცხოვრობდა, და ის იყო თავისი ქუჩისკენ დააპირა გადახვევა, რომ ერთ-ერთ ეზოში, ჭიშკრის გადაღმა მოესმა უცნობი ბავშვის ხმა:

— იცოდე, ინანებ, ბეჟან...

— არა, ძმაო, ან ორივე მომეცი, ან არცერთი არ მინდა. ხომ ხედავ, როგორი ახალია... სამოცი მანეთი მაინც ღირს!

ეს მეორე ხმა ელენე მასწავლებელს ეცნაურა. იგი ნამდვილად ბეჟან კირვალიძეს ეკუთვნოდა.

მართლაც, არ გასულა ორი-სამი წუთი, რომ ჭიშკრიდან ბეჟანი გამოვიდა. ხელში გაზეთში გახვეული რაღაც საგანი ეჭირა. ფეხდაფეხ უცნობი ბიჭი მიჰყვებოდა. ორივე ისე იყო გართული, რომ ვერცერთმა ვერ შენიშნა ელენე მასწავლებელი. ქუჩის ბოლოსაკენ გაემართნენ და ელენე მასწავლებელიც მათ მიჰყვა უკან.

ბიჭები კამათობდნენ, ცხარობდნენ. ამ კამათში რომ იყვნენ, თავს წამოადგათ მაღალი, ჭაღარაშერეული ქალი.

— ელენე მასწავლებელო! — შეცბა ბეჟანი. მისმა მოხაუბრემ კი შეშინებული თვალები შეაჭყიტა უფროსს და სწრაფად მოჰკურცხლა.

— გამარჯობა, ბეჟან. რას გაშტერებულხარ, ვერ მიცანი? — ტკბილად უთხრა ელენე მასწავლებელმა. — ვინ იყო ის ბიჭი, რას გევაჭრებოდა?

იმ სკოლაში, სადაც ჩვენი ბიჭები სწავლობდნენ, არ იყო არც ერთი მოსწავლე, რომელსაც ელენე მასწავლებლის ხათრი არ ჰქონოდა, და ბეჟანი გამონაკლისი როდი იყო. ელენე მასწავლებელი ტუქსავდა. უწყრებოდა კიდეც, მაგრამ ბეჟანი ყოველთვის გრძნობდა, რომ ეს იყო მოსიყვარულე ადამიანის გაწყრომა. ამიტომ იყო, რომ, თუ სხვა საგნებში ორებსა და სამებზე სწავლობდა, ელენე მასწავლებლის საგანში, ბოტანიკაში, ფიზკულტურასთან ერთად, ოთხზე ნაკლები ნიშანი არასოდეს მიუღია.

დარცხვენილმა ბეჟანმა ჯერ თავი ჩაჰკიდა, შემდეგ გახედა, ელენე მასწავლებელს თვალებში შეხედა და კითხვაზე გულწრფელად უპასუხა:

— ეგ ბიჭი ამ ქუჩაზე ცხოვრობს. მინდოდა მტრედები მეყიდა მისგან... ბევრი მტრედი ჰყავს.

— მერე, არ მოგყიდა?

— მარტო ერთ მტრედს მაძლევდა ამაში, — ბეჟანმა გაზეთი გახსნა და ახალი, წითელი ბურთი ამოიღო. — მე კი ორს ვთხოვდი. ვერ მოვრიგდით...

მას სიტყვა პირზე შეაცივდა. იქვე, შესახვევში ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა და — ვინ იფიქრებდა! — ქუჩაში გამოვიდნენ ჩვენი ეზოს ბიჭები, რომლებიც სწორედ ბეჟანს დაეძებდნენ.

ბეჟანი დაიბნა. უნდოდა ბურთი სასწრაფოდ ისევ გაზეთში გაეხვია, ან სხვაგან სადმე გადაემალა... მაგრამ გვიანღა იყო. ერთი წუთით ბიჭებიც დაიბნენ, შეჩერდნენ. ისინი არ ელოდნენ, რომ ბეჟანთან ერთად ელენე მასწავლებელსაც შეხვდებოდნენ.. პირველად აჩიკომ ამოიღო ხმა. იგი სხვა სკოლაში სწავლობდა, ელენე მასწავლებელს არ იცნობდა, ამიტომ ნაკლებად მოერიდა მისი:

— აგერ, ჩვენი ბურთი! — დაიძახა მან.

— ჩვენი ბურთი! ჩვენი ბურთი! — ერთხმად იხუვლეს ბიჭებმა და ბეჟანისკენ გაექანენ თითქოს ეს-ესაა უნდა გაგლიჯონო.

— როგორ გაბედე ჩვენი ბურთის მოპარვა, უჰ, შე... — სიბრაზისაგან დინჯმა ვოვამაც კი დაკარგა წონასწორობა და ხელი შემართა რომ ბეჟანისათვის გაერტყა.

— მოიცადეთ, ბავშვებო!.. — გაისმა ამ დროს ელენე მასწავლებლის მტკიცე ხმა; იგი უკვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. — ბეჟანს თქვენთვის ბურთი არ მოუპარავს. მე ვნახე, როგორ ეჩხუბებოდა ის ვიღაც ბიჭს, როგორ წაართვა ბურთი და ახლა თქვენთან აპირებდა მოტანას.

ბიჭები გახევდნენ. სიტყვა ველარ დასძრეს.

— გვაპატიე, ბეჟან, არ ვიცოდით! — ჩუმი ხმით თქვა ბოლოს გიგიმ. — ჩვენ გვეგონა, ბურთი შენ მოიპარე...

— გვაპატიე, გვაპატიე, ბეჟან!

ბეჟანი ჯერ გაფითრდა, მერე წამოწითლდა, აქეთ-იქით მიმოიხედა. ყელში რაღაც მოსწოლოდა, ხმის ამოღება არ შეეძლო. შემდეგ ტუჩები აუთრთოლდა, თვალიდან ნელა მოსწყდა ცრემლი და... უცებ ზლუქუნი ამოუშვა.

ბეჟანის თვალზე ცრემლი ჯერ არავის ენახა.

მთელ საათს საუბრობდნენ კირვალიძეების ბინაში ელენე მასწავლებელი და ბეჟანი.

წასვლისას ელენე მასწავლებელმა თვალებში ჩახედა თავის მოსწავლეს, დიდხანს უმზირა და ბოლოს რაღაც ნაღვლიან ხმაზე უთხრა:

— ბეჟან, მე დღეს ცუდი საქციელი ჩავიდინე — შეგნებულად ტყუილი ვუთხარი ბიჭებს; იცოდე, ტყუილზე საზიზღარი არაფერია ქვეყნად...

— ვიცი, მასწავლებელო, — წაიდუდუნა ბეჟანმა.

— მაგრამ ეს შენი გულისთვის გავაკეთე და პირობა მომეცი, შენს სიცოცხლეში არასოდეს იცრუო.

ბეჟანმა მტკიცე პირობა მისცა, რომ ხვალიდანვე დაუბრუნდებოდა სკოლას და ბეჯითად იმეცადინებდა.

ყველამ იცოდა, თუ ბეჟანი ვინმეს პირობას მისცემდა, მოკვდებოდა და სიტყვას არასგზით არ გატეხავდა.

## თავი მეცამეტე

ბიჭებმა ბურთი ძველ ადგილას შეინახეს. ისინი მეტად კმაყოფილნი იყვნენ. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო... დაკარგული ბურთი იპოვეს და, რაც მთავარია, არტემ მექვაბიშვილთან ბრძოლა მოიგეს.

ჟრიამულით გამოვიდნენ თავიანთი ოთახიდან, ბოქლომით დაკეტეს და სასწრაფოდ დაიშალნენ — სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, რათა ესადილათ, გაკვეთილები მოემზადებინათ, შემდეგ კი ფეხბურთი ეთამაშათ. უკანასკნელი დღეები დასდგომოდათ წვრთნისა, სულ მალე იწყებოდა პირველობა.

გიგი გახარებული არბოდა კიბეზე. ის იყო ოთახის კარი უნდა შეეღო, რომ მიტო გაახსენდა.

„მართლა, როგორ დამავიწყდა, — გაიფიქრა მან, — წავალ, დავუძახებ. დღეს ჩვენს ოთახში ვერ ვიმეცადინებთ... ჩემთან წამოვიყვან, რა უშავს“... ამ ფიქრებით გავიდა ეზოში. გაიარ-გამოიარა არტემის სახლის წინ და ფეხბურთელთა მარშის ჰანგზე დაუსტვინა.

ახლა შეამჩნია, რომ კარი დაკეტილი იყო. გაკვირვებულმა ოთხი-ხუთი საფეხური აირბინა და კარგად დააკვირდა, იქნებ ვცდებიო. რასაკვირველია, გიგი არ ცდებოდა.

სახლი დაკეტილია, მაშ, სად უნდა იყოს მიტო? იქნებ ეზოშია სადმე? არა, ეზოში არ ჩანს. იქნებ თან წაიყვანა არტემმა? მაგრამ როდის იყო, — არტემ მექვაბიშვილს მიტო თან დაჰყავდა?!

უცებ, რატომღაც, მიტოს ნაამბობი გაახსენდა არტემ მექვაბიშვილის სარდაფის შესახებ. იქნებ გაბრაზებულმა არტემმა... არა, შეუძლებელია!..

როდესაც გიგი სადილის ჭამას შეუდგა, მამიდა ნინომ ჰკითხა:

— დღეს შენ და მიტო ერთად არ იმეცადინებთ?

— არ ვიცი...

რა მოგივიდა. გიგი. ვინა ჭამს წვნიანს ჩანგლით?!

გიგიმ ჩანგალს დახედა და მაგიდაზე დადო.

მამიდამ ეჭვით შეხედა გიგის.

გიგი თავის მაგიდას მიუჯდა. წიგნები გაშალა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. გავიდა თითქმის საათნახევარი. გიგიმ წიგნი განზე გადადო. აღარ ახსოვდა, მერამდენედ ჩაიკითხა ერთი გვერდი და მაინც ვერ გაიგო, რა ეწერა იმ გვერდზე — მისი გონება სხვაგან ჰქროდა.

თუ დღეს კიდევ სცემა არტემ მექვაბიშვილმა მიტო, გიგი აუცილებლად ეტყვის ყველაფერს ელენე მასწავლებელს. ელენე მასწავლებელი ამ ამბავს ასე არ დატოვებს... მაგრამ სად არის მაინც მიტო? იქნებ სადმე შემალულა და ტირის? — ათასი ფიქრი უტრიალებდა გიგის. ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. ქვემოთ უკვე შეკრებილიყვნენ ბიჭები და გამწარებულნი უსტვენდნენ ფეხბურთელთა მარშს. გიგის იმწამსვე თვალში ეცა, რომ მიტო მათ შორის არ იყო.

იმ დღეს ბიჭებს ფეხბურთი არ უთამაშიათ. შეიკეტნენ სამრეცხაოში და დიდხანს ბჭობდნენ იმის შესახებ, თუ სად უნდა გამქრალიყო მიტო. არტემიც არსად ჩანდა.

უკვე საკმაოდ ჩამობნელდა. მშობლები წამდაუწუმ ეძახდნენ თავიანთ შვილებს და მკაცრად მოითხოვდნენ, დაუყოვნებლივ შინ წამოდითო.

— რა ვქნათ, ბიჭებო? — იკითხა ვოვამ.

— აი რა, — უთხრა გიგიმ, — თქვენ ახლა ყველანი წახვალთ, ივახშმებთ და დაწვებით. ოღონდ იცოდეთ, არც ერთმა არ გაბედოს დაძინება. აქ მე ვიგუშაგებ.

დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა სადარბაზო შესასვლელის კარი ჯახანით გაიღო და ეზოში ხრინწიანი ღიღინი გაისმა. გიგიმ ყური მიადო სამრეცხაოს კარს და სმენად იქცა. არტემი მარტო ბრუნდებოდა, მთვრალი იყო საშინლად. მიტო არსად ჩანდა, ცხადი იყო, სარდაფში ჰყავდა ჩაკეტილი.

არტემი ბარბაცით გაემართა თავისი ბინის კიბეებისაკენ, ხრინწიანი სიმღერა თანდათან მატულობდა. უცებ მიმართულება შეიცვალა და ბურტყუნით სამრეცხაოს მიაშურა.

„ვაიმე, აქეთ მოდის!“ — გაუელვა გიგის, გული საშინლად უცემდა. ნაბიჯების ხმა კი თანდათან ახლოვდებოდა. ჯერ იფიქრა, ფანჯრიდან გადავხტებიო, — მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა ეს აზრი, ეცა კარს, გადარაზა, ზურგით მიეყრდნო და სული მოითქვა.

არტემი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარებს აწვებოდა, თან ბურტყუნებდა:

— დაუკეტიათ მამაძაღლებს!

არტემს ლაპარაკის დროს საშინლად ებმოდა ენა, ხრინწიანად ახველებდა და იფურთხებოდა. ყოველ გადაფურთხებას ლაზათიანი გინება თან ერთვოდა.

არტემ მექვაბიშვილი როგორც იყო მოეშვა სამრეც-

როგორც იყო ტელეფონმა დარეკა. მიტომ დაავლო მილს ხელი და ყურთან მიიდო.



ხაოს და გინებით წავიდა. გიგიმ გაიგონა, როგორ დაუცდა მას ფეხი კიბეებზე და ზრიალით დაეშვა ძირს. კარგა ხანს ელოდა, ისევ წამოდგება, აივლის საფეხურებსო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. ნაბიჯების ხმა აღარ გაუგონია.

გიგიმ იგრძნო, რომ შიში ისევ ეუფლებოდა. საშინელი სიჩუმე და სიბნელე იდგა ირგვლივ. ისევ გადასწია ფარდა. კარს იქით ვიღაც იდგა და ოთახში შემოსვლას ცდილობდა. ნუთუ არტემი მიხვდა, რომ ოთახში ვიღაცაა და დაბრუნდა?

— გიგი, კარი გააღე,—მოესმა ჩურჩული.

— რომელი ხარ?—ჩურჩულითვე ჰკითხა გიგამ.

— მე ვარ,—მუმუშა, ნუ გეშინია, გარეთ გამოდი

გიგიმ შვებით ამოისუნთქა და კარი ფრთხილად გაუღო.

— გამოდი, გამოდი, კიბეებზე გდია, ისეთი მთვრალია... ერთ კვირას ვერ გაილვიძოს მგონი,—ჩაიქირქილა მუმუშამ.

ბიჭები ცოცვით მიუახლოვდნენ არტემ მექვაბიშვილის კიბეს და შეჩერდნენ. ორივემ თითქმის ერთად ასწია თავი. გარკვევით დაინახეს: არტემი კიბეზე მიწოლილიყო და ხვრინავდა.

## თავი მეთოთხმეტე

ასეთი ხმაურიანი დილა ჩვენს ეზოს ჯერ არ ახოვდა. თუმცა, უმჯობესია, თავიდან დავიწყოთ.

მთელი ეზო ფეხზე იყო, ეძინა მხოლოდ არტემ მექვაბიშვილს. ოღონდ ახლა კიბეებზე როდი ეძინა. ეტყობა, გათენებისას გამოფხიზლებულიყო და ბინის კარის გაღება მოეხერხებინა. აივნის ფანჯრები გამოეღო, ტახტზე გაუხდელად გაშხვართულიყო და ხვრინავდა. კიდევ დიდხანს იძინებდა, მილიციას რომ არ გაეღვიძებია.

ხოლო მილიციის მოყვანას ვინ გადაწყვეტდა, თუ არა გიგი და ჩვენი ბიჭები! როცა სკოლაში წასვლის დრო დადგა და მიტო კი არსად ჩანდა, ბიჭებმა ითათბირეს და ბეჭედი დასვეს: არტემს სარდაფში ჰყავდა ჩამწყვდეული.

მთელმა ეზომ მექვაბიშვილის აივანთან მოიყარა თავი, როცა ძია ლევანი და მუმუშას მამა უბნის რწმუნებულს ეზოში შემოუძღვნენ.

მექვაბიშვილი დათვივით წამოვარდა ტახტიდან და შემკრთალმა გაუღო კარი მილიციელებს.

— სად არის ბავშვი?—იკითხა უფროსმა ლეიტენანტმა.

— რომელი ბავშვი?—გაიკვირვა არტემმა, მერე მეზობლებს მიუბრუნდა,—გადით აქედან, რას შემომიცვივდით!

— სად არის ბავშვი?—გაიმეორა უფროსმა ლეიტენანტმა.

— აქ იქნება სადმე, წუხელ გვიან მოვედი...—დაიბნა მექვაბიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადა გაქვთ სარდაფში ჩასასვლელი?

— სარდაფში? ჩემს სარდაფში თქვენ რა გესაქმებათ?

უფროს ლეიტენატს მოსწყინდა არტემთან ამაო ლაპარაკი. მისმა გამოცდილმა თვალმა უმალ შენიშნა სარდაფის კარი. არტემის საწოლი გამოსწია და კარი ამოაღო.

ორი მილიციელი ჩავიდა მიტოს ამოსაყვანად. ერთი უმალვე ამოვიდა, ხელში მიტო ეჭირა. ხოლო მეორე კარგა ხანს დაყოვნდა ქვევით.

მილიციელთან, რომელსაც მიტო ეჭირა, ძია ლევანი მივიდა.

— გეთაყვათ, ბავშვი აქ მომეცით!

ოთახში სესილრა კოკოჩაშვილი შემოიჭრა. იგი, რა თქმა უნდა, ნაწყენი იყო, რომ ყველაზე გვიან გაიგო ეზოში მომხდარი ამბავი.

— მე ყოველთვის ვამბობდი, ჩვენს ეზოში უაღრესად კეთილშობილი ბავშვები არიან-მეთქი,—მერე არტემს გახედა და დაუმატა,—საზიზღარო, ჩამოსახრჩობი ხარ!

არტემმა ამჯერად არაფერი უპასუხა.

— ნამდვილი მამა ხომ არასოდეს არ უზამს ამას თავის შვილს, – ხმამაღლა ამბობდა სესილია.

— არა ხართ მართალი!—მიუგო უფროსმა ლეიტენანტმა,—არტემ მექვაბიშვილს ცხრა წელია საკუთარი შვილი ჰყავს მიტოვებული და ერთხელაც არ მიუკითხავს. რა შუაშია მამინაცვალი, როცა კაცი კაცად არ ვარგა! თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ დღეს პირველად გავიგეთ არტემ მექვაბიშვილის არსებობის ამბავი?

— უფროსო ლეიტენანტო,—ამოსძახა სარდაფიდან მილიციელმა,—ჩვენი ეჭვი გამართლებულია, სარდაფი გაჭედილია ქსოვილებით და ფეხსაცმელებით.

— კარგი, ამოდი და დალუქე ოთახი.

მექვაბიშვილის ოთახი ნელ-ნელა დაიცალა. უფროსმა ლეიტენანტმა არტემს მკლავში ხელი მოჰკიდა და კიბეზე ჩაიყვანა, მერე მიტოს მიუბრუნდა.

— ბიჭიკო, წამოდი ჩემთან!

— ბავშვი სადღა მიგყავთ?—გაიოცა ძია ლევანმა.

— მარტო ხომ ვერ იცხოვრებს... ჩვენ მოვუვლით.

— არა, ამხანაგო ლეიტენანტო, – ძია ლევანს ყოველთვის ეშლებოდა და ვერ არჩევდა ლეიტენანტს უფროსი ლეიტენანტისაგან,—ბავშვი ჩემთან დარჩება. მე ვიქნები მისი მამა.

მრავალი მადლიერი თვალი მიაშტერდა ძია ლევანს სახელგანთქმულ პროფესორს. უფროსმა ლეიტენანტმა ხელი ჩამოართვა, მერე ბავშვებს გაუღიმა და უთხრა:

— თქვენ ნამდვილი გმირები ხართ! მე აუცილებლად დავესწრები თქვენს თამაშს.

ბავშვები აღტაცებულნი იყვნენ: უფროს ლეიტენანტსაც გაეგო მათი მომავალი შეჯიბრების ამბავი.

## თავი მეთხუთმეტე

მიტოს იმავე საღამოს საშინელი სიცხე მისცა. საწყალი ბიჭი ბორგავდა და გაუგებარ სიტყვებს ისროდა. ძია ლევანმა ექიმი მოიყვანა. ექიმმა წამლები გამოუწერა და ნემსები დაუნიშნა. თან დაიბარა—ყველაზე მთავარი ბავშვისათვის სიმშვიდეაო.

მხოლოდ მესამე დღეს დაეტყო მიტოს გამოკეთება. სიცხემ დაუწია და თვალში გამოიხედა. პირველად ოთახი ვერ იცნო.

— სადა ვარ?—იკითხა.

— ჩემთან ხარ, მიტო, – მოესმა ძია ლევანის მზრუნველი ხმა.

მიტოს ყველაფერი გაახსენდა. დახუჭა თვალები და ლოყებზე ორი ცრემლი ჩამოუგორდა. ძია ლევანმა ცრემლები მოწმინდა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ბიჭები ყოველდღე მიდიოდნენ მეგობრის სანახავად. პირველ ხანებში ძია ლევანი ექიმის დარიგებას იცავდა და არავის არ უშვებდა ავადმყოფის ოთახში. ხოლო შემდეგ, როდესაც მიტო უკეთ შეიქნა, ბიჭებმა მეგობრის ნახვის უფლება მიიღეს.

ისინი მოდიოდნენ და საინტერესო ამბებს უყვებოდნენ მიტოს. მისი ავადმყოფობის დროს ბევრი ისეთი რამ მომხდარიყო, რასაც მანამდე ვერასოდეს წარმოიდგენდა. ბიჭები ჰყვებოდნენ: ბეჟანმა თავისი სამტრედე სკოლის ცოცხალ კუთხეში გადაიტანაო.

თვითონ ბეჟანიც ეწვია მიტოს.

— მართლა გადაიტანე სამტრედე?—ჰკითხა მიტომ ბეჟანს.

— ეგ რა არის,—უპასუხა ბეჟანმა ამაყად,—გუშინ გეოგრაფიაში ხუთიანი მივიღე.

მიტომ გაიგო, რომ მისი ძველი სახლი დალუქულია, რომ არტემს მალე გაასამართლებენ და სესილია კოკოჩაშვილი ამბობს: თუ თორმეტს არა, ათ წელს მაინც მიუსჯიანო.

მაგრამ მას ერთი რამ უკვირდა მხოლოდ. ბიჭები არაფერს ლაპარაკობდნენ ფეხბურთის შესახებ, უკვე ოცდაათი ოქტომბერი იყო. მან კი იცოდა, პირველი თამაში თხუთმეტ ოქტომბერს უნდა ჰქონოდათ. რა ჰქნეს, ითამაშეს? ვაი თუ წააგეს? მიტოს გული წყდებოდა—რა ცუდ დროს გავხდიო ავად.

ერთ დღეს ცანცარა კოლა ისეთ დროს მოვიდა, როცა არავინ იყო სახლში. მიტო უკვე ფეხზე იყო წამომდგარი და თავს ძალიან კარგად გრძნობდა. მეგობრები ფანჯრის რაფაზე ჩამოსხდნენ და ლაპარაკი გააბეს.

— კოლა, შენ ის მითხარი, თხუთმეტში ითამაშეთ თუ არა?

კოლამ შეშინებული თვალებით გაიხედა მეორე ოთახისაკენ.

— ძია ლევანმა აგვიკრძალა, მიტოსთან ფეხბურთი არ

ახსენოთო... ახლა, მე მგონია, კარგად ხარ და შეიძლება...

— კარგად ვარ, კოლა, შეიძლება, შეიძლება! . მითხარი...

— ჩვენ უკვე სამჯერ ვითამაშეთ...

— მერე, რა ჰქენით?

— ორი მოვიგეთ და ერთი ყაიმით დავამთავრეთ...

— ყაიმით? ვისთან დაამთავრეთ ყაიმით?

-- ეეჰ! – ჩაიქნია ხელი კოლამ,—სულ იმ შოთას ბრალია; სამი ისეთი ბურთი გაუშვა, რომ ჩვენი ნანაც აიღებდა.

— ვინ არის ეგ შოთა?

— მესამე ეზოში ცხოვრობს, არავინ გვყავდა და დავაყენეთ. ხვალ რას ვიზამთ, არ ვიცი... ყველაზე ძლიერ გუნდს ვეთამაშებით,—დაუმატა კოლამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. მაგ გუნდის მეტს არავის.აქვს სამი მოგება. ოუ მოვუგეთ, ნამდვილად პირველ ადგილზე გავალთ.

მიტოს მოუსვენრობა დაეტყო. ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე კოლასთან მიიჭრა.

— ვითამაშებ, რა!—ისე შეეხვეწა, თითქოს ცანცარა კოლაზე იყო დამოკიდებული მისი თამაში.

— დასუსტებული ხარ, ჯერ ვერ ითამაშებ.

— აბა, მიყურე,—თქვა მიტომ და მოულოდნელად ისკუპა.

კოლას ასეთი ნახტომი ჯერ არ ენახა: მიტო ჰაერში აიწია, ხელები და ფეხები გაჭიმა და ისარივით გაფრინდა თავის საწოლისაკენ.

— როგორია?—იკითხა მიტომ წამოდგომის შემდეგ.

— აი, ეგ მესმის!

— კიდევ მეტყვი – ვერ ითამაშებო?!

— მე არ გეტყვი, მაგრამ... ძია ლევანი... — აღარ დაამთავრა კოლამ.

ძია ლევანის დაჯერება მართლა ძნელი იყო. ეს კარგად იცოდა მიტომ. მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც ულვივოლდა გულის სიღრმეში.

— კოლა, ჩემი ახალი ბურთი გინახავს?

— არა.

— ახლავე გიჩვენებ,—უთხრა მიტომ და მეორე ოთახიდან ტყავის თეთრი ბურთი გამოიტანა.

— წამო, შუშაბანდში გავიდეთ.

მიტომ შუშაბანდში გაიყვანა კოლა. მაგიდა კედლისკენ მისწია, სკამები ოთახში შეიტანა და მეგობარს უთხრა:

— ეს გოლი იქნება. აბა, დამირტყი. ოღონდ ნელა, ფანჯრები არ ჩავამტვრიოთ.

კოლა ბურთს შუშაბანდის ერთი თავიდან ურტყამდა მეორეში, სადაც მიტო იდგა. მიტო პარკეტის იატაკზე ზოგჯერ იხე ხტებოდა, რომ კოლას გული უ'კდებოდა — არაფერი მოიტეხოსო.

მათ თამაშს გიგი და ნიკა შემოესწრნენ. სამივენი რიგრიგობით ურტყამდნენ ბურთს. ბოლოს დარწმუნდნენ, მიტოს თამაში შეუძლიაო. ახლა ძია ლევანზე იყო დამოკიდებული ყველაფერი; შეეძლო თამაშის უფლება არ მიეცა.

მეორე დღეს ძია ლევანმა მართლაც არ დართო ნება. ეს ერთი თამაშიც გააცდინე და მერე, როდესაც სრულიად გამოჯანმრთელდები, რამდენიც გინდა იმდენი ითამაშეო. არავითარმა ხვეწნამ არ გასჭრა.

ბიჭები წავიდნენ. ეს გადამწყვეტი თამაში უნდა შემდგარიყო დინამოს სტადიონის სათადარიგო მოედანზე. წასვლის წინ გიგიმ უთხრა: პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ ტელეფონით შეგატყობინებ ანგარიშსო.

მიტო ტელეფონის ახლოს იჯდა. ძია ლევანი ნერვიულად დადიოდა ოთახიდან ოთახში. ხანდახან მიტოსთან მივიდოდა, დახედავდა და ისევ გავიდოდა. ეტყობოდა, საშინლად ღელავდა. დღეს ძია ლევანი პირველად აცდენდა ბიჭების თამაშს. მასაც გაეგო, რომ ჩვენი ეზოს გუნდის დღევანდელი მოწინააღმდეგენი ძლიერები იყვნენ და საშიში იყო მათთან თამაში. ამიტომ ისიც მოუთმენლად ელოდა ტელეფონის ზარის წკრიალს.

როგორც იყო. ტელეფონმა დარეკა. მიტომ დაავლო მილს ხელი და ყურთან მიიდო. ძია ლევანი სმენად იქცა.

— გისმენ, მიტო ვარ... ორით ნოლი? ვერ გავიგე, იგებთ თუ აგებთ? შეუძლებელია...

შეუძლებელი არაფერი იყო. ჩვენი ეზოს გუნდი ნამდვილად აგებდა. მიტომ ტელეფონის მილი დადო. ძია ლევანმა მოიწყინა. დუმილში სამიოდე წუთმა განვლო.

— მე შემეძლო თამაში... — გაუბედავად, საყვედურის კილოზე დაიწყო მიტომ.

— არა, მიტო, ჯერ სუსტად ხარ...

— გუშინ ბიჭებმა მავარჯიშეს... ყველამ თქვა. თამაში შეგიძლიაო.

— გუშინ შენ ბურთი ითამაშე?

მიტომ დამნაშავესავით დახარა თავი.

— მერე? ცუდად ხომ არ გამხდარხარ?

— არა!

— ახლა როგორა გრძნობ თავს?

— ძალიან კარგად.

— შენ ამბობ, თამაში შემიძლიაო?

— შემიძლია.

ძია ლევანმა სათვალე გაისწორა.

— უკვე გვიან არის.

— არ არის გვიან, მეორე ტაიმს მივუსწრებთ.

— ჰა? მივუსწრებთ ვითომ?

ძია ლევანმა საათს დახედა და სავარძლიდან წამოდგა.

— წავიდეთ!..

პროფესორი მკერდით მიარღვევდა ხალხს. ცალი

ხელი მიტოსთვის ჩაევლო და მიჰყავდა. ორივენი მსაჯთა კოლეგიის მაგიდას მიუახლოვდნენ. ძია ლევანმა ბორის პაიჭაძე დაინახა, მივიდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ, პატივცემულო ბორის.

პაიჭაძე წამოდგა და ღიმილით მიესალმა. მერე მიტოს მიუბრუნდა:

— როგორა ხარ, ვაჟკაცო?

— კარგად! თამაში მინდა, — მიუგო მიტომ.

— გავიგე, რომ ავად ყოფილხარ.

— ახლა კარგად ვარ.

— დიახ, დიახ, მას უკვე შეუძლია თამაში, — დაუმატა ძია ლევანმა.

ბორის პაიჭაძემ ახედ-დახედა მიტოს, ისევ გაუღიმა.

— ვნახოთ, როგორ ითამაშებ.

მიტოს სიხარულისაგან გული შეუქანდა. აღტაცებულმა მოედანს გახედა. თამაშის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო. მიტომ დაინახა, როგორ გაიტაცა ვოვამ ბურთი და გიგის გაუჭრა ცენტრისაკენ...

— წამოდი, ფორმა ჩაიცვი, — უთხრა ამ დროს პაიჭაძემ. მერე ძია ლევანს მიმართა: — თქვენ შეგიძლიათ დაიკავოთ ადგილი.

ძია ლევანი ტრიბუნისაკენ წავიდა და დასაჯდომად მოხერხებული ადგილის ძებნას შეუდგა.

— ძია ლევან, მობრძანდით!

ძია ლევანმა აიხედა და ბეჟანი იცნო. იგი ფეხზე წამომდგარიყო და ხელს უქნევდა.

თამაში გრძელდებოდა. ჩვენს ბიჭებს მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაეტანათ ერთი ბურთი და ცუდი მდგომარეობა ოდნავ გამოესწორებიათ.

— წავაგებთ, ძია ლევან, — უთხრა ბეჟანმა, როდესაც მოწინაალმდეგე გუნდის ერთ-ერთი შეტევა ძლივს მოიგერია ჩვენი ეზოს გუნდმა.

ძია ლევანს არაფერი უპასუხია...

ბურთი პირით ხაზს იქით გადავარდა. მსაჯთან მიიჭრა ვიღაც შავგვრემანი ბიჭი. მას ზურგზე დიდი ერთიანი ჰქონდა მიკერებული. ბიჭმა რაღაც უთხრა მსაჯს და მანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შავგვრემანი ბიჭი ჩვენი ეზოს ფეხბურთელთა კარისაკენ გაიქცა. გზადაგზა თავისი გუნდის წევრები ეხვევოდნენ და გახარებულნი ჰკოცნიდნენ.

— მეკარეს ცვლიან, — თქვა ვიღაცამ.

— ვითომ ეს უშველის მაგათ? — ეჭვი შეეპარა მეორეს.

— მიტო! — წამოიძახა აღტაცებულმა ბეჟანმა და ძია ლევანს მოხედა. ძია ლევანი კმაყოფილი იღიმებოდა, თან თვალს ადევნებდა თამაშს...

მუმუშამ გვერდითი ხაზიდან ბურთი მოაწოდა. ბურთი კოლამ მიიღო და ნიკას გაუჭრა. მაგრამ არაზუსტად. ბურთს მოწინაალმდეგეთა მეშვიდე ნომერი დაეუფლა. მოატყუა აჩიკო და უყურადღებოდ მიტოვებულ მეცხრე ნომერს გაუგორა. მეცხრე ნომერი მთელი სისწრაფით გაექანა კარისაკენ.

— ვაიმე, დავიღუპეთ! — იყვირა ბეჟანმა.

მეცხრე ნომერმა დაახლოებით შვიდი მეტრიდან დაარტყა და ბურთი მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. მიტო გადახტა და კარი აშკარა გოლისაგან იხსნა.

ტრიბუნებზე ტაშმა იგრიალა.

ძია ლევანი მიუბრუნდა უცნობ კაცს, რომელიც მის გვერდით იჯდა და უთხრა:

— ჩემი ბიჭია!

თამაში თანდათან უფრო დაძაბული ხდებოდა. მიტოს მოსვლით აღფრთოვანებული ბიჭები მთელი ძალით უტევდნენ მოწინაალმდეგეს. ერთ-ერთი შეტევის დროს მეტოქეების კართან არეულობა შეიქნა. საიდანღაც გამოხტა კოლა და სულ ახლო მანძილიდან ბურთი კარში გაგზავნა. ანგარიში ორით ორი გახდა.

— ყოჩაღ, შე ცანცარავ! — წამოიძახა ბეჟანმა.

— ახლა შეგვიძლია მოგებაზე ვიფიქროთ, — ჩაილაპარაკა ძია ლევანმა და ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო.

დრო იწურებოდა. ჩვენი ეზოს ფეხბურთელები მოწინაალმდეგის კართან დასახლდნენ. ვოვამ ბურთი მარჯვენა მხრიდან თამაშს ჩააწოდა. თამაზმა მოატყუა ერთი დამცველი და ბურთი წინ გაუგორა გიგის. გიგი საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და ის იყო კარში უნდა დაერტყა, რომ მესამე ნომერმა ფეხი დაუდო. გიგი წაიქცა.



მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა.

გიგომ აიღო ბურთი და პენალტის დასარტყმელ ადგილზე დადო. უკან დაიხია. მსაჯმა მისცა ნიშანი და გიგიმ დაარტყა... ბურთი ბადეში მოექცა...

ტაშის გრიალმა შესძრა ტრიბუნები.

თამაშის დროც ამოიწურა.

ბეჟანმა უბიდან მტრედი ამოაფრინა. მტრედმა სტადიონს შემოუარა ფრენით და ჰაერებს იქით სივრცეში დაიკარგა.

ნახევარი საათის შემდეგ გამარჯვებული ფეხბურთელები შინ მიდიოდნენ. წინ მიუძღოდათ ძია ლევანი, რომელსაც მიტოსთვის ხელი ჩაევლო და მიჰყავდა.




## მიკრომავთული

დაამზადო ადამიანის თმაზე უფრო წვრილი მავთული და თან გამამხოლავებელით დაფარო — არც თუ ისე ადვილია. ასეთი მავთულის გაკეთება რამდენიმე წლის წინ ფანტაზიად ითვლებოდა.

მიკრომავთულის დასამზადებლად იხარჯებოდა მეტად დიდი დრო. მავთულს ჭიმავდნენ საჭირო ზომამდე, შემდეგ მას ატარებდნენ სპეციალურ ღუმელებში და ფარავდნენ გამამხოლავებელით.

ამასწინათ პოდოლსკის ქარხანა „მიკროპროვოდმა" აითვისა მიკრომავთულის დამზადების ახალი ტექნოლოგია. მაღალი სიხშირის დენის დახმარებით სწრაფად იჭიმება 1 მიკრონი დიამეტრის მქონე მანგანუმის მავთული და მაშინვე იფარება მინის გამამხოლავებელით. ასეთი მავთულის 1 კილომეტრი 1 გრამზე ნაკლებს იწონის.

## მანქანა — ბზრიალა

სანფრანცისკოელმა ჯონ ლიპანოვიჩმა წამოაყენა წინადადება ახალი ტიპის ავტომანქანის დამზადებისა. მისი მანქანის სქემა მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი მანქანის სქემისაგან. ჯონ ლიპანოვიჩის მანქანას წინ და უკან თითო სამართავი ბორბალი აქვს. მანქანის წამყვანი ბორბლები მოთავსებულია კორპუსის შუა ნაწილში. როცა წინა ბორბალი მარჯვნივ უხვევს, მაშინ უკანა ბორბალი უხვევს მარცხნივ. სამართავი ბორბლების ასეთი თვისების გამო მანქანას შეუძლია იბრუნოს მისი ვერტიკალური ღერძის გარშემო. მანქანის სახურავში მაგრდება სპეციალური თალი: რომლის დანიშნულება ხიფათის თავიდან აცილება, თუკი მანქანა გადაბრუნდება. მანქანას ოვალური ფორმა აქვს, მისი სახურავი წარმოადგენს გამჭვირვალე პლასტიურ მასას, რაც მძღოლს საშუალებას აძლევს ყველა მიმართულებით გაიხედოს.

## ორიგინალური ავტოკალამი

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გინდათ რაღაც ჩაიწეროთ, მაგრამ ირგვლივ სიბნელეა. თქვენ იღებთ ავტოკალამს და თითს აჭერთ პატარა ღილაკს; ინთება პატარა მინიატურული ნათურა, რომელიც მოთავსებულია კალმის ქვემოთ და ქაღალდიც საკმაოდ შუქდება. შეგიძლიათ ჩაიწეროთ. ასეთი ავტოკალამის მშრალი ბატარეა მოთავსებულია მის ზემო ნაწილში, ხოლო რეზერვუარი მელნისათვის, — მის ქვევით.

მანათობელი ავტოკალმის სერიული გამოშვება დაიწყო შანხაის ექსპერიმენტულმა ფაბრიკამ.

## ბორმანქანა «სასიამოვნო» გახდა

ქალაქ ბუდაპეშტის ერთ-ერთი რაიონის პოლიკლინიკის უფროსმა ექიმმა ბელუ შტეინერმა გამოიგონა ახალი ბორმანქანა, რომელიც არავითარ ტკივილს არ აყენებს ავადმყოფს კბილის ბურღვის დროს.

ჩვეულებრივ მანქანასთან შედარებით შტეინერის ბორმანქანა აკეთებს უფრო მეტ ბრუნვათა რიცხვს, მუშაობს უხმაუროდ და სწრაფად. შტეინერის ბორმანქანა უკვე დაინერგა სტომატოლოგიურ კლინიკაში.

## იონიზებული ჰაერით დამწვრობის მკურნალობა

ერთ-ერთ ამერიკულ ჰოსპიტალში წარმატებით იყენებენ უარყოფითად იონიზებულ ჰაერს დამწვრობის სამკურნალოდ. უარყოფითად იონიზებულ ჰაერს შეუშვებენ იმ ოთახში სადაც ავადმყოფი იმყოფება და 20 წუთის განმავლობაში დამწვრობისაგან გამოწვეული ტკივილი უყუჩდება. თუ რატომ აქვს ასეთ ჰაერს ტკივილის გაყუჩების უნარი ჯერ გამორკვეული არ არის.

## მშენებლობა საჰაერო ბუშტების საშუალებით

ამ ქარხნის თავისებური სახურავი, რომელიც შედგენილია ალუმინის



რომბისებური ფილებისაგან, აღიმართა 15 მეტრის სიმაღლეზე და დამაგრდა რკინაბეტონის საძირკვლებზე ნეილონის ორი საჰაერო ბუშტის დახმარებით; მშენებლობაზე მუშაობდა 28 მუშა, რომლებმაც 22 საათის განმავლობაში დაამთავრეს სახურავის აგება.





# საქართველოს პიონერთა მეხუთე შეკრება

25 ოქტომბერს ბავშვებით გაივსო დინამოს სტადიონის მდელო.

დღეს აქ მასპინძლებად პიონერები იყვნენ,—იხსნებოდა კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პიონერთა მეხუთე რესპუბლიკური შეკრება.

წითელი ყელსახვევები ყაყაჩოებივით ელავდა მწვანე მინდორზე, ირხეოდა დროშები, გუგუნებდა ორკესტრი, ცისარტყელებად იშლებოდა მოედნის თავზე ფერადი შუშხუნები·

კოლონებად იდგნენ შეკრების დელეგატები, საიდან არ მოსულიყვნენ აქ: შავი ზღვის სანაპიროდან და სვანეთის ამაყი მთებიდან, შირაქის ველებიდან და ბორჯომის ხეობიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან, დუშეთიდან, თერჯოლიდან... მოწვეული იყვნენ სტუმრები მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან.

გაისმის ჰიმნის ჰანგები, ანძაზე ნელ-ნელა ადის წითელი ალამი, პიონერები სმენაზე დგანან.

შეკრებას ხსნის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. მგელაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოდის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე.

შეკრების დელეგატები იარუსებს ეფინებიან, მოედანს თბილისელ ნორჩ სპორტსმენებს უთმობენ. აი, გამოდიან თეთრ, ქართულ კაბებში გამოწყობილი გოგონები და ასრულებენ ვარჯიშს სურებით. მოწონების ტაში ჯერ არ დამცხრალა, მინდორზე კი უკვე წითელ მაისურებში გამოწყობილი ბიჭები არიან. საამო სანახავია მინდორი ამ დროს, მოხდენილად სრულდება ყოველი ილეთი.

სპორტული სანახაობა რომ დამთავრდა, შეკრების მონაწილენი ცირკისაკენ გაემართნენ, სადაც ბევრმა პირველად ნახა ეს მაღალთაღიანი შენობა და აღტაცებაში მოვიდა მრავალფეროვანი სანახაობით.

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო შეკრების მომდევნო დღე — 26 ოქტომბერი. ჩვენი იუბილარი დედაქალაქის საზეიმოდ მორთული ქუჩები პიონერთა მხიარული ხმებით აივსო. პიონერულმა კოლონებმა პროსპექტები გადასერეს, ყვავილებით შეამკეს ლენინის ძეგლი, დაათვალიერეს ქალაქი, შემდეგ მას ზემოდან, ფუნიკულორის პლატოდანაც გადმოხედეს.

საზეიმოდ იყო მორთული პიონერთა პარკიც, იმ დღეს აქ გაიხსნა მამაცი კომკავშირელი ქალიშვილის — ზოია რუხაძის ძეგლი. მაღალ კვარცხლბეკზე ამაყად დგას ხელში ბორკილგაყრილი ქალიშვილი. ძეგლის გვერდით ამართულ ტრიბუნაზე რიგ-რიგობით გამოდიან ორატორები. აი, ზოიას დედა, ჭაღარა ქალი, რომელიც სიმფეროპოლიდან ჩამოვიდა თბილისს, რომ რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებთან ერთად ისიც დასწრებოდა საკუთარი შვილისა და სამშობლოს საამაყო შვილის ძეგლის გახსნას. აქვეა მოსწავლე ზოიას სკოლიდან.

ჩვენი სკოლა ზოიას სახელს ატარებს· ჩვენი რაზმეულიც ზოიას სახელობისაა,—თქვა სიმფეროპოლელმა ბორის ზუბროვმა და ტაშის გრიალმა დაჰფარა მისი ხმა.



ზოია რუხაძის დედა და რესპუბლიკურ შეკრებაზე ჩამოსული სტუმრები ზოიას ძეგლის გახსნაზე.

ჩვენი რაზმეულიც ზოიას სახელობისაა.

— ჩვენიც!.

— ჩვენიც!—ჩურჩულებდნენ დამსწრენი და სიყვარულით. შეჰყურებდნენ მამაცი ქალიშვილის ძეგლს.

პარკის.საზამთრო პავილიონებში მეტად საინტერესო გა-

მოფენა დახვდათ შეკრების მონაწილეთ, აღტაცება გამოიწვია კასპელი მოსწავლეების მიერ დამზადებულმა ექსპონატმა. «ფანტასტური გზა» მიჰქრის ელმავალი ლიანდაგზე, წინ უფსკრულია, ხიდი არსად არის, ელექტრომავალი კი სვლას არ ანელებს და, სწორედ იმ დროს, როცა გგონიათ რომ მარცხი უნდა მოხდეს, ხდება საოცრება: ელექტრომავალი სახურავზე მოწყობილი სპეციალური ბორბლებით ზევით გაჭიმულ ბაგირზე ეკიდება და მიჰქრის ჰაერში არხეინად, რკინიგზა უფსკრულის თავზე ეშვება, და ელმავალიც განაგრძობს გზას. ასეთი საინტერესო ექსპონატები ნორჩ ტექნიკოსებს მრავლად დაუმზადებიათ.

ნორჩ ტექნიკოსებს არც ნორჩი ნატურალისტები ჩამორჩნენ კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საჩუქრების გამოფენაზე. ბოსტნეულისა და ხილის სურნელებით გაჟღენთილ ოთახში თავს იწონებენ გორული ლოყაწითელი ვაშლები და აჭარული მანდარინები, გორული მსხალი, მეგრული სიმინდი და კახური ჩურჩხელები; აი, ყვარლელი ნორჩი ნატურალისტების მიერ თავიანთ საცდელ ნაკვეთზე გამოზრდილი გოგრა; მას კარგი ვაჟკაციც ვერ შემოუწვდენს ხელს! იგი 22 კილოგრამს იწონის.

ამ შთაბეჭდილებებით სავსე დღეს ერთი კარგი მოგონებაც მიემატა: გამოფენის დათვალიერების შემდეგ, როცა ქალაქში ბინდი ჩამოწვა, პიონერები კვლავ შეიკრიბნენ კოცონთან, ასეთი კოცონი ჩვენი დედაქალაქის კიდევ ოთხ მხარეს აინთო. ამ კოცონებთან მოუწყეს შეხვედრა ნორჩებმა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებს, ძველ კომკავშირლებს, წარმოების ახალგაზრდა მოწინავე მუშებს და ნოვატორებს.

სწორედ ამ კოცონთან უამბეს ბავშვებმა ერთმანეთს თავიანთი პიონერული საქმიანობის შესახებ.

— ჩვენი სკოლის ეზო ვაზითა გვაქვს დაფარული,— დაიწყო ჩოხატაურელმა იზოლდა გობრონიძემ,—მერე იცით ვინ დარგო ეს ვაზები? ჭიჭიკო ბენდელიანმა! მან სამამულო ომში წასვლამდე ჩაჰყარა ეს ვაზები.

იზოლდას სიტყვები ტაშის გრიალმა დაჰფარა.

— რომელმა ბენდელიანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა?— ჰკითხულობდნენ ისინი, ვისაც ყური კარგად ვერ მოეკრა ნათქვამისათვის... და ჰქუხდა ტაში.

მალე იზოლდამ და მისმა თანასოფლელებმა იქ დამსწრეთ აჩვენეს, რომ ბეჯითი შრომის შემდეგ კარგი ცეკვა და მოლხენაც იციან; ვიღაცამ საცეკვაო წამოიწყო, დანარჩენებმა ტაში შემოჰკრეს და გახურდა ცეკვა-თამაში.

კოცონთან მეგობრული სადილი გაიმართა. მოზრდილ სუფრაზე თბილისის 88-ე სკოლის პიონერები იყვნენ მასპინძლებად. რა არ იყო მაგიდაზე! ყველაფერი პიონერების ხელით გამომცხვარი და დამზადებული. მაგიდის შუაგულში ჩოხატაურელ პიონერთა საჩუქრები—ქოთნის გაფურჩქვნილი, ცოცხალი ყვავილები ჩამოერიგებინათ.

დიდხანს იმხიარულეს პიონერებმა მეგობრულ სადილზე. ასეთი მეგობრული სადილები შეკრების მონაწილეთათვის ჩვენი დედაქალაქის მრავალ კუთხეში გაიმართა.

— არასოდეს არ დამავიწყდება ეს დღეები,—რამდენჯერმე გაიმეორა ახალსოფლელმა ე. კანდაიამ და შინაურივით შეაღო თავისი მასპინძლის, თბილისის 87-ე სკოლის მოსწავლის ომარ ედილაშვილის სახლის კარები.

შინაურებიც ხომ ისე შემოეგებნენ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. «სად იყავი, ხომ არ მოგშივდა, ან ხომ არ შეგცივდა?» – თავს ზრუნვით დასტრიალებდა სტუმარს ომარის დედა. სტუმარი ძალზე კმაყოფილი იყო. იგი უფროსების წინაშე მადლობის თქმის მეტს ვერას ახერხებდა, ომარს კი იმ ღამეს გამოუტყდა, რომ განშორება ეძნელება, რომ შეკრების დღეებში ბევრი კარგი მეგობარი შეიძინა დედაქალაქში, და ახლა ახალ მეგობრებს ახალსოფელში პატიჟებს და ელოდება.

— ზამთრის არდადეგების დღეებში ჩამოდით. მე მანდარინის ხეებს შეგინახავთ, არ მოვწყვეტ. გინახავთ თოვლით დაფარული მანდარინის ხე? იცით რა ლამაზია? — ჰყვებოდა იგი. ღიმილით უსმენდა მეგობარს ომარი, სიხარულით მიიღო მიწვევა და მთელი ღამე ოცნებაში გაატარა. უსათუოდ ვეწვევი ახალსოფლელ მეგობარსო,— გადაწყვიტა მან,

27 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოიყარეს თავი შეკრების მონაწილეებმა. ყვავილებით მორთული იყო სცენა, სადაც მაგიდებს პიონერებთან ერთად უსხდნენ საპატიო სტუმრები:

შეკრებამ მიიღო მოწოდება საქართველოს ყველა პიონერისადმი. ბოლოს კი პიონერებმა თეატრის სცენიდან სტუმრებსა და თანატოლებს თავიანთი თვითშემოქმედება უჩვენეს.

ლ. გაგლოევა. რ. პერკინა.



ფოტო ნ. ფოფხაძისა

დუშეთის რაიონის პიონერი დელეგატები დავით [illegible]ლი და ლიანა ხიტარიშვილი თბილისს ნაციონალური [illegible]საცმლით ესტუმრნენ.

# ხონთქრის თვალი



ს. ფხაქაძე (ზღაპარი) ნახ. ნ. შალიკაშვილისა

დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, ქართველთა მეფეს შვილი ავად გაუხდა. მეფემ მთელი სახელმწიფო შეძრა, ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოიწვია განთქმული მკურნალები, დაამზადებინა ათასგვარი წამალი, მაგრამ ავადმყოფს უკეთობა არ დაეტყო, მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა.

დადუმდა სასახლე, შეწყდა ლხინი და ზეიმი. დარდისაგან გაფითრებული მეფე ფეხაკრეფით დადიოდა სასახლეში, ხოლო დედოფალი საუფლისწულო დარბაზში შვილს სასთუმალთან უჯდა და გამუდმებით ქვითინებდა. თუ მეფე თვითონ არ დაუძახებდა, ნაზირ-ვეზირები თავს არიდებდნენ მასთან შეხვედრას.

ასე უხალისოდ მიდიოდა დღეები.

უფლისწულის ავადმყოფობის ამბავმა ხონთქრის ყურამდე მიაღწია. ხონთქარმა თავის გრძნეულ მკურნალს დაუძახა და უთხრა: წადი, გურჯი მეფის ვაჟიშვილი მოარჩინე, მაგრამ გასამრჯელოდ იმდენი ოქრო და ბრილიანტი მოთხოვე, რამდენსაც ერთი თვალი აიწონის, გურჯისტანზე სალაშქროდ ვემზადები და, თუ ამ ქვეყნის სალაროს წინასწარ გავძარცვავთ, ომში ხელი შეგვეწყობაო.

მკურნალმა თანხმობა აღუთქვა, ხონთქრისგან გიშრის კოლოფში ჩასმული ადამიანის თვალი ჩაიბარა და საქართველოში გამოემგზავრა.

ერთ საღამოს ქართველი მეფის მსახურნი სასახლის დიდ ბაღში, ასწლოვანი მუხის ქვეშ ისხდნენ და სამშობლოსა და მეფის ჭირვარამზე საუბრობდნენ. უფლისწულის გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. უცებ შორეული გზიდან მომავალი უცხო ქვეყნის ქარავანი შენიშნეს. იგი თანდათან უახლოვდებოდა სასახლეს. ქარავნის ამბავი მეფეს მოახსენეს. მეფის ბრძანებით ხუთი შეიარაღებული ვაჟკაცი უცხოელთა შესახვედრად წავიდა.

სულ მალე სტუმრები სასახლის გალავანს მიადგნენ. მეფის მიერ შესახვედრად წარგზავნილებმა მცველებს ანიშნეს — ალაყაფის კარები გააღეთო. მალე ვეება კარები გაიღო და ქარავანი ეზოში შემოვიდა.

მეფეს მოახსენეს: ხონთქრის გამოგზავნილი კაცი გეახლათო.

მეფემ სტუმარი თავაზიანად მიიღო და მისვლის მიზანი ჰკითხა. ახალმოსულმა მეფეს მოახსენა, რომ იგი ხონთქარმა გამოგზავნა ავადმყოფი უფლისწულის მოსარჩენად. მეფე ამ ამბავმა ძლიერ გაახარა, ხონთქარს ყურადღებისათვის მადლობა შეუთვალა და მცირე ხნის საუბრის შემდეგ მკურნალი ავადმყოფთან მიიწვია.

უცხო ქვეყნიდან მოსულმა მკურნალმა მეფეს შვილის მორჩენა აღუთქვა და გასამრჯელოდ იმდენი ოქრო-ვერცხლი და ბრილიანტი მოთხოვა, რამდენსაც ადამიანის ერთი თვალი აიწონიდა.

მეფეს გაუკვირდა სტუმრის ასეთი უცნაური მოთხოვნა, მაგრამ სიტყვა აღარ შეუბრუნებია, მყისვე დათანხმდა.

სტუმარი უფლისწულის მკურნალობას შეუდგა და ათ დღეში ფეხზე დააყენა, მოარჩინა.

— მიართვით მკურნალს იმდენი ოქრო და ბრილიანტი, რამდენსაც ადამიანის ორი თვალი აიწონისო, — ბრძანა მემკვიდრის გადარჩენით გახარებულმა მეფემ.

მეფის ასეთი მოწყალება მკურნალმა არ ისურვა და ქვეყნის მბრძანებელს ჰკადრა:

---

# ხარბი კაცის ამბავი

ხუტა ბერულავა (ჩინური ზღაპარი)

საჩინეთის მხარეში,
განა ახლა, უწინ, —
ერთი კაცი ცხოვრობდა,
გულხარბი და ძუნწი.
ერთხელ, როცა სახლისკენ
მიდიოდა ხევეშით,
სამი ჯადო-ისარი
მან იპოვა ტყეში.
საოცარი თვისება
ჰქონდა ჯადო-ისარს:
მსროლელს აუსრულებდა
ყველა ნატვრას მისას,
ოღონდ მაშინ ჩაეთქვა,
როცა სურდა სროლა...
ნახა, მაგრამ რა ნახა,
აიტანა ჟრუოლამ.
„ყველაფერი მექნება! —
ფიქრობს ხარბი გულში. —
მე ის კაცი არა ვარ,
რაც ვიყავი გუშინ“.
„ყველაფერი მე მქონდეს!“ —
გაიფიქრა მაშინ,
როს პირველი ისარი
აისროლა ცაში.
ყველაფერი ინატრა,
აუსრულდა კიდეც:
მოდის ტკბილი ნამცხვარი,
დაჭექი და კვნიტე.
მოდის ფვალმარგალიტი,
ოქრო-ვერცხლი მოდის...
მაგრამ უხსენებელი
ვინ ინატრა, როდის?
მოდის ხროვა მხეცების,
მოდის ყველაფერი:
კეთილიც და ბოროტიც,
მოკეთეც და მტერიც.
მოდის... ხარბი შეშინდა
და იყვირა მყისვე:
— დაე სულ ყველაფერი
კვლავ წავიდეს ცისკენ!
ისარი რომ გაფრინდა,
უცებ იგრძნო ხარბმა
მისი ისრის წყალობით
კვლავ ხაფანგში გაბმა —
კაციც ცაში ავარდა
ყველაფერთან ერთად;
დაავიწყდა საცოდავს
თავისთავზე ეთქვა:
„ყველაფერი წავიდეს,
მე დავრჩეო მხოლოდ“.
კაცი თავის შეცდომას
მაინც მიხვდა ბოლოს.
მიხვდა, მშვიდდი მოსწია
და ინატრა მაშინ:
„ყველაფერი წავიდეს,
მე დავბრუნდე სახლში!“
დატრიალდა ისარი,
აუსრულდა ხვეწნა,
სარგებლობა იპოვა
თუნდაც ერთი ბეწვა?
ისევ ეზოს თავისას
დაუბრუნდა ხარბი,
ნიშნად გაბრაზებისა
ზეასწია წარბი:
„ჯადოქარი ისრები
გამიფრინა ღმერთმა,
რადგან ჩემთვის ვისურვე
ყველაფერი ერთად“.
დაჯდა ქვაზე და მუშტი
წაიშინა თავში...
თქვენ ხომ არსად გინახავთ
ამისთანა ბავშვი?

— მე მხოლოდ იმდენს დავჯერდები, რამდენსაც ხონთქრის ერთი თვალი აიწონისო.

ქართველი მეფე კიდევ უფრო გააკვირვა მკურნალის მიერ ხონთქრის თვალის ხსენებამ, მაგრამ არაფერი თქვა, გადაწყვიტა ძვირფასი სტუმარი უხვად დაეჯილდოვებია და მსახურთ სასწორის მოტანა უბრძანა.

სასწორი მოიტანეს. მეფემ სახლთუხუცესს, ვეზირებს, სპასალარსა და სალაროთუხუცესს საკრებულო დარბაზში დაუძახა და მკურნალს მიმართა: უხმეთ თვალს სასწორზეო.

მკურნალმა ჯერ ოქრო-ვერცხლით გაბრწყინებული დარბაზის კედლები და ჭერი შეათვალიერა, მერე შავი გიშრის კოლოფი გახსნა, იქიდან ადამიანის თვალი ამოიღო და სასწორის ერთ ჯამზე ფრთხილად დადო.

ყველანი შეკრთნენ. მეფემ ელდანაცემივით უკან დაიხია.

— ხონთქრის თვალი! ხონთქრის თვალი! — გაისმა დარბაზში ჩურჩული.

— ხონთქრის თვალია, დიდო ბატონო!.. თქვენ მას პირისპირ შეხვედრიხართ ორთა ბრძოლაში! — უთხრა მეფეს სპასალარმა და სასწორისკენ ნაბიჯი გადადგა, თვალს ახლოდან დააკვირდა.



— შევხვედრივარ... ავის მომასწავებელი თვალია! — ნელა წარმოთქვა მეფემ და იქვე სავარძელში ჩაჯდა. ჯერ გრძნეულ მკურნალს გახედა, მერე კი სასწორს მიაპყრო მზერა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი საოცარ თვალს დაჰყურებდნენ, ტანში ჟრუანტელი უვლიდათ. მეფე წამოდგა, სასწორთან მივიდა და ხონთქრის ავბედით თვალს დაბეჯითებით დააცქერდა. მეფის მიახლოვებისთანავე თვალმა წამწამები აახამხამა და ისე გადახედა ირგვლივ მყოფთ, ვეგონებოდათ მთელ სასახლეს ჩაყლაპავს უპირებსო.

— ხედავთ, მეფეო, გიცნოთ ბებერი ხონთქრის თვალმა! — უთხრა მას სპასალარმა.

— საქმეს შეუდექით, სალაროთუხუცესო, ოქრო და ბრილიანტი! — ბრძანა განსაცდელის მოლოდინით შეძრწუნებულმა მეფემ.

სალაროთუხუცესი ბარბაცით გავიდა დარბაზიდან. მალე ოცდაათი მისხალი ოქრო მოარბენინა, ხელის კანკალით მიუახლოვდა სასწორს და, ხონთქრის თვალისკენ არც გაუხედია, ოქროს ნატეხი ისე დადო მეორე ჯამზე. ჯამს ტვირთის შეხებაც არ უგრძვნია.

დარბაზში მყოფებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

მეფის ბრძანებით კვლავ მოიტანეს ოქრო-ვერცხლისა და ბრილიანტის ზოდები, სასწორის ჯამზე დაალაგეს, მაგრამ ამაოდ. იმ ჯამს რომელზედაც თვალი იყო, ძვრაც ვერ უყვეს.

ყველას მღელვარება დაეტყო, მაგრამ სპასალარის მეტმა მეფესთან შეკამათება ვერავინ გაბედა.

— დიდო ბატონო, ნება მომეცით მკურნალს გავუსწორდე ავბედითი თვალის მოტანისათვის! — ჰკადრა მან მეფეს.

— რა უფლება გაქვთ მას გაუსწორდეთ ხონთქრის თვალისთვის, როცა მადლობა არ გითქვამთ უფლისწულის მოსარჩენად მოტანილი უებარი წამლისათვის! — უპასუხა მეფემ.

სალაროთუხუცესმა კიდევ ორჯერ დაამატა სასწორზე სიმდიდრე, მაგრამ გაუმაძღარი თვალი თანდათან ფართოვდებოდა, საოცრად ბრიალებდა და სულ უფრო მეტს ითხოვდა.

მეფის სალარო თითქმის დაცალიერდა, სიმდიდრის დიდი ნაწილი სასწორზე დაალაგეს, მაგრამ თვალი კვლავ და კვლავ ითხოვდა. სალარო თუ ხუცესი რეტდასხმულივით მისჩერებოდა მეფეს, რა ექნა აღარ იცოდა.

სახლთუხუცესი და ვეზირები აივანზე გამოვიდნენ სათათბიროდ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. სახელმწიფო სალაროს დაცალიერება ყველას ლახვარივით ესობოდა გულზე, მაგრამ მეფეს ვერაფრის თქმას ვერ უბედავდნენ.

მათ საუბარს ყური მოჰკრა ეზოში მომუშავე მებაღემ. იგი სასახლის კიბესთან ყვავილებს წყალს ასხურებდა და უფლისწულის საყვარელ სიმღერას ღიღინებდა. ეს სიმღერა განსაკუთრებით მას შემდეგ შეუყვარდა, რაც უფლისწული ავად გახდა. მისი ავადმყოფობის მთელ მანძილზე ამ სიმღერას მღეროდა და ამით გულს იოხებდა. კეთილი კაცი იყო მებაღე, ყველასთან სანთელივით დნებოდა, სასახლის ეზოში ყოველ ხეს, ბუჩქსა და ყვავილს თავს დასტრიალებდა. შვილივით უვლიდა.

— რამ შეგაშფოთათ, ბატონებო, რაშია საქმე, არ შეიძლება ხვაშიადი თქვენს მებაღესაც გაანდოთ? — შეჰკადრა მოხუცმა აივანზე მყოფთ.

გაფითრებული სახლთუხუცესი მისკენ შემობრუნდა და უამბო გრძნეული მკურნალის, ხონთქრის თვალისა და ქართველი მეფის სალაროს ამბავი.

— ნება მომეცით ვნახო ხონთქრის თვალი! — თხოვა სახლთუხუცესმა მებაღეს.

სახლთუხუცესი მას დარბაზში შეუძღვა და სასწორთან მიიყვანა. მებაღეს გაუკვირდა, რომ ერთი პატარა თვალი ქვეყნის მთელ სიმდიდრეზე მძლავრობდა, წალეკვას უქადდა. მეფეს გადახედა, შეებრალა.

— სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობსო! — დაიძახა ამ დროს შეძრწუნებულმა მეფემ და უბრძანა მოეტანათ სასწორზე ოქროსა და ბრილიანტის უკანასკნელი ნარჩენები.

ნუ ინებებთ, მეფეო, მაგ გაუმაძღარი თვალის ოინი მე ვიციო, — თქვა მებაღემ, სწრაფად შემობრუნდა და დარბაზიდან გავიდა. ყველანი უძრავად იდგნენ და იმ კარებს მისჩერებოდნენ, საიდანაც მოხუცი მებაღე უნდა შემოსულიყო.

წუთის შემდეგ მებაღემ ერთი კოვზი ფხვიერი მიწა მოარბენინა და სასწორზე დადებულ ხონთქრის თვალს ორი თითით ნელნელა დააყარა. ყვითელი წამწამები წამსვე უწესრიგოდ ამოძრავდნენ, შავ თვალს ჩინი თანდათან დაელია და სასწორის ჯამი ზევით ისე ავარდა — თვალი ერთ ადლზე ჰაერში აისროლა.

მსახურებმა სასწორიდან სიმდიდრე გადმოალაგეს... ჩამქრალი და ჩანაცრული ხარბი თვალი ფრჩხილის ოდენა ოქროს ნატეხმა დასძლია.





**აკაკი ბელიაშვილი**

ნახ. ლ. ცუცქირიძისა

# მხაყვრის შვილები

ერეკლემ სასახლეში დიდებულები მოიწვია და თათბირი გამართა.

— ეს გამარჯვება გროშად არ ეღირება, თუ ნარიყალის ციხე და მეტეხის ციხე არ ავიღეთ.—უთხრა მან დიდებულებს.—ახლავე უნდა ვილონოთ, სანამ ამირ-ასლან-ხანს ახალი ჯარები არ გამოუგზავნია, და ეს ციხეები უნდა გავათავისუფლოთ.

თათბირი არც კი დამთავრებიათ რომ, მეფეს ამბავი მოუვიდა: ლეკებმა ავჭალა და მარტყოფი დაარბიეს, უამრავი ხალხი ტყვედ გარეკეს და გზას გაუდგნენო.

— აი, ხომ ხედავთ, მტერი ისე გათამამდა, რომ ხვალ შეიძლება თბილისშიაც შემოიჭრას, რაკი ეცოდინება, რომ ჩვენი ციხეები მტრის ჯარს უჭირავს.

მეფემ მაშინვე გადაწყვიტა თავისი ამალით წასულიყო ქიზიყს, იქ მოეგროვებია ჯარი და ლეკებისთვის გზა გადაეჭრა. მეტეხის ხიდზე გასვლა კვლავ შეუძლებელი იყო, ამიტომ მეფე იძულებული გახდა ორთაჭალაზე მოევლო და იქ ნავტიკებით გასულიყო მტკვარგაღმა.

მეფე ჩავიდა ქიზიყს, შეაგროვა ჯარი, დანღისთან დაეწია ლეკებს და მუსრი გაავლო. აქ მოხდა ერთი საოცარი ამბავი. როდესაც მეფემ თავდამსხმელ ლეკთა ჯარი ივრის პირს მიიმწყვდია, მოულოდნელად ნაპირის ფლატე მოწყდა, გადაწვა და სამასი ლეკის მხედარი ქვეშ მოიყოლა. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ერეკლე გამობრუნდა და ღამის გასათევად ღუდღოფლის წყაროსთან დაბანაკდა.

გაქცეული ლეკები კი, როდესაც ალაზანს მიადგნენ, იქ შეეყარნენ ერთ ვინმე ხოჯა-ყული-ხანს, რომელიც კახეთის დასარბევად წამოსულიყო დიდძალი ჯარით.

ლეკებმა უთხრეს, სასწრაფოდ წავიდეთ, ერეკლეს ჯარი გავანადგუროთ და თვით ქართველთა მეფე ხელში ჩავიგდოთო. ხოჯა ხანი სიამოვნებით დათანხმდა და მათი გაერთიანებული ჯარი გამოემართა შურის საძიებლად. ისინი მთელი ღამე მოდიოდნენ და გათენებისას მოულოდნელად თავს დაესხნენ ერეკლეს. შეიძლება მართლა მთლად გაენადგურებიათ ქართველთა ჯარი და საქართველოს მეფეც ტყვედ ეგდოთ ხელში, მაგრამ მათ დაავიწყდათ როგორ მხედართან ჰქონდათ საქმე. ჯერ კიდევ მტერი საკმაოდ შორს იყო, როდესაც წამოწოლილმა ღამის გუშაგებმა, რომელთაც მიწაზე ყური ეგდოთ და არ ეძინათ, გაიგონეს უამრავი ცხენის თქარათქური.

ერთი წუთი და, მთელი ქართველი ჯარი ფეხზე იყო.

მეფემ ბრძანა ყველას თავი მოემძინარებია, მტერი რაც შეიძლება ახლო მოეშვა და მხოლოდ მაშინ წამოშლილიყვნენ, როდესაც მეფის დამბაჩა დაიქუხებდა. ასეც მოიქცნენ. შეაყენეს ქართველმა ბიჭებმა ფეხზე თავიანთი თოფ-დამბაჩების ჩახმახები და მოემზადნენ მტრის დასახვედრად.

გაიხედეს და რას ხედავენ: მტრის ჯარმა მოჰკრა თუ არა თვალი ქართველთა კარვებს, მაშინვე შეანელა ნაბიჯი და ყიზილბაშებმა დაიწყეს ქურდულად მიპარვა. მათ უნდოდათ მძინარე ქართველებს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს, გაეჟლიტათ და ნადავლით გზას გასდგომოდნენ.

ასე დაუახლოვდნენ ისინი ქართველთა ბანაკს, აი, კიდევაც ააპრიალა ხმალი ხოჯა-ყული-ხანმა, დასჭყივლა— ალლაჰო...

მაგრამ ამ დროს მწყობრად დაიჭექა ქართველთა თოფ-დამბაჩებმა და, სანამ ყიზილბაშები გონს მოვიდოდნენ, ქართველი ბიჭები უკვე ცხენებზე ისხდნენ და თავიანთ ხმლებს მტრის ზურგზე ალესავდნენ.

* * *

იმავე დღეს ერეკლემ შიკრიკები აფრინა კახეთს და ჯარები დაიბარა, ხოლო გორში გაგზავნა სარდალი პაპუნა ორბელიანი ბოჭორმის დიდი ზარბაზნის ჩამოსატანად.

ერეკლემ გადაწყვიტა თავისი განზრახვა დაუყოვნებლივ განეხორციელებინა და თბილისის ციხეებიდან განედევნა სპარსთა მეციხოვნეები.

სანამ ერეკლე ამ მზადებაში იყო, თბილისში ქალაქის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. მართალია, მეფემ მცირეოდენი ჯარი დატოვა, რომელიც მეციხოვნეებს ქალაქში თარეშის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ არც ისინი უსვენებდნენ მოსახლეობას და თუ ვინმეს ქუჩაში გამვლელს თვალს მოჰკრავდნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი—ქალი იქნებოდა, კაცი თუ პატა-

* დასასრული. იხ. „პიონერი" № 9 და 11.

რა ბავშვი. სადაც კი ტყვია მიუწვდებოდათ, ციხის გრძელ თოფებს — ჯაზაირებს უშენდნენ.

მარტო ერთადერთი კაცი იყო, რომელიც მტრის ტყვიებს არ ერიდებოდა, ხან ერთ შუკაში ამოჰყოფდა თავს, ხან მეორეში, ხან ვისიმე სახლის ბანზე შედგებოდა, ხან სამრეკლოზე აცოცდებოდა და ციხეს უშიშრად უთვალთვალებდა.

ეს იყო ჯარდანი. მას უნდოდა ერთხელ მაინც მოეკრა თვალი თავის სატრფოსათვის, ხმა მიეწვდინა: შენს გათავისუფლებაზე ვფიქრობ, არ შეშინდეო; მაგრამ, აბა, როგორ მოჰკრავდა თვალს, როდესაც იგი ციხისთავს შუა კოშკის სენაკში ჰყავდა ჩაკეტილი და სენაკის კართან საგანგებო ყარაული ეყენა. ციხისთავმა რამდენჯერმე სცადა მზეხათუნის გული მოენადირებინა, საჩუქრები შეუგზავნა, ოქროს სამკაულები, თვალმარგალიტი, ფარჩისა და შეიდიშის შესამოსელი, მაგრამ მზეთუნახავმა ზიზღით გადმოუყარა ყველაფერი, თანაც შემოუთვალა: როგორც კი არ ჩამომეხსნები, იმ წამსვე თავს მოვიკლავო.

ციხისთავმა იფიქრა, ცოტას დავაცდი, ეს განწყობილება გაუვლის, ხასიათი შეეცვლება და მერე ჩემს საჩუქრებზედაც აღარ იტყვის უარსო. ამიტომ თავი მიანება. ოღონდ საჭმელი შეუმცირა და მარტო წყალსა და პურს აძლევდა. ეგონა მოშივდება და პირიქით შემეხვეწებაო.

მოლოდინი არ გაუმართლდა. ქალი არა თუ ეხვეწებოდა საჭმელი მაჭამეო, რასაც აძლევდნენ იმასაც კი ხელს არ აკარებდა.

როდესაც დურა-ხანმა თვალი მოჰკრა ციხის გარშემო მოხეტიალე ჯარდანს, მეციხოვნეებს უბრძანა არამცდაარამც თოფი არ ესროლოთ და, თუ გინდათ რომ დიდი ჯილდო გიწყალობოთ, ეცადეთ როგორმე ციხეში შემოიტყუოთო. მას უნდოდა ჯარდანი ცოცხლად ჩაეგდო ხელში და იგი როგორც იშვიათი მუშაითი, დაეტყვევებია და ყაენისათვის გაეგზავნა საჩუქრად.

ჯილდოს მიღების სურვილი ბევრს აღეძრა, მაგრამ ყველას ცალთვალა ალიყულიმ აჯობა. ეს გაიძვერა სპარსელი უკვე მეთხუთმეტე წელი იყო რაც თბილისში მეციხოვნედ მსახურებდა, ქართული ენა იცოდა და ამიტომ ადვილად შეეძლო ჯარდანთან საუბარი გაება. მოჰკრა თუ არა თვალი ციხის კედლებთან მოახლოებულ ჯარდანს, მან მიიხედ-მოიხედა და, ვითომ სხვებისგან ფარულად, ხელით ანიშნა უფრო ახლოს მისულიყო, თან გასძახა: მოდი, ნუ გეშინიან, არაფერს გავნებო.

ჯარდანი ჯერ ვერ ბედავდა მისვლას, მაგრამ თავისი სატრფოს ამბის გაგების სურვილმა წასძლია და კედელს ფრთხილად მიუახლოვდა.

ალიყულიმ ციხის კედელზე გადმოშვერილ ჩარდახში თავი გაჰყო და ჯარდანს ჩასძახა:

— გატყობ, ციხეში გინდა შემოსვლა. მუსლიმანი ხარ?

— არა.

— მაშ, ვინა ხარ?

— მხატვრის შეგირდი. ქრისტიანი.

— მერე, რას დადიხარ ციხის გარშემო? მოგზაური ხარ?

— არა, ციხისთავთან მინდა ლაპარაკი.

— რას მომცემ, რომ მიგიყვანო.

— ერთ ოქროს.

— ცოტაა, მაგრამ თანახმა ვარ. ამაღამ კარიბჭის გოდოლთან მოდი და მამალივით იყივლე. კარს გაგიღებ და შემოგიშვებ. მხოლოდ ოქრო თან იგულე.

— შენი ჭკუის ვიქნები თავი ხაფანგში გავაბმევინო. მე შემიშვი, შენ კი გამოდი და გარეთ ჩემს ბიჭებთან დამიცადე. როდესაც გამოვბრუნდები, შენ ისევ შეგიშვებთ ციხეში.

— შენ რას მიედ-მოედები,—გაბრაზდა ალიყული,— შენ ციხეში შეგიშვა და მე შენი ბიჭების მახეში გავება? ჭკუით მატყუებ.

— შენ მატყუებ, მე კი არა! მაშ, მე ციხეში შემოვიდე, ოქროც მოგიტანო და მერე შენს ნებაზე იყოს, გამომიშვებ თუ არა?!

— ყურანზე დავიფიცებ, გამოგიშვებ.

— დაიფიცებ თორემ ჯერ არ დაგიფიცნია ტყუილზე!—ჯარდანმა წასვლა დააპირა.

— მოიცა, სად მიდიხარ,—დაფრთხა ალიყული და ჩარდახში ისე ჩამოეკიდა—კინაღამ გადმოვარდა,— მოიცა თანახმა ვარ, გამოვალ მხოლოდ ორი ოქრო მომეცი...

— კარგი, ჯანი გავარდეს.

— იცოდე, ჯერ ფული მომეცი და მერე შეგიშვებ.

— ეს ვინ ყოფილა!—მოუვიდა გული ჯარდანს,— შენ, გატყობ, ფული გინდა დამტყუო და...

ჯარდანი ვერ ამჩნევდა, რომ ალიყული განგებ აჭიანჭლებდა საქმეს, რადგან ციხიდან ოთხი მეციხოვნე გამოუშვა რომელნიც ჩუმჩუმად უნდა მიპაროდნენ ამ თავზეხელაღებულ ქართველს და შეეპყროთ.

ისინი რატომღაც აგვიანებდნენ, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ბალახებში ამოჰყვეს თავი და, როდესაც ჯარდანმა თავის ჭკუით საქმე გაარიგა და წასასვლელად პირი იბრუნა,. მას სპარსი მეციხოვნენი ეცნენ, გათოკეს და ძუნძულით შეარბენინეს ციხეში.

მახეში გაბმული და გათოკილი ჯარდანი დურა-ხანს მიჰგვარეს. მან უბრძანა თოკები შეეხსნათ და კოშკის საკანში კედელზე ჯაჭვით მიებათ.

ბოლმისაგან კრიჭაშეკრულ ჯარდანს მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს. მას ეგონა ჯერ წამებით დაჰკითხავდნენ, თუ რამე იცოდა ერეკლეზე, ან სპარსეთის ჯარის მოახლოვებაზე, ყველაფერს ათქმევინებდნენ და მერე თავს მოჰკვეთდნენ, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

მიაჯაჭვეს კედელზე და წავიდნენ. ღამით მასთან საკანში დურა-ხანი მივიდა და ანუგეშა, შენ ნუ გეშინია, ყაენის კარზე პირველ კაცად გაგხდი, თუ დამიჯერებ და ურჩობას არ გამიწევო, თუ არა და თავს მოგკვეთ

და შენს თავს ძაღლებს შევაჭმევო. მერე მეციხოვნეებს უბრძანა, ამას არაფერი მოაკლოთ და, რაც ჩემს სუფრაზე მოიტანოთ, ამასაც იგივე მიართვით ხოლმეო.

მესამე დღეს დურა-ხანს მოახსენეს: რაც კი რამ მივუტანეთ ჩვენს ტუსაღს, კბილი არ დაუდგამს, არც სიტყვას ამბობს რაიმეს, მარტო ჯაჭვებს ებღაუჭება და მათ დაწყვეტას ლამობსო.

— შემეხვეწება,— თქვა დურა-ხანმა.

მაგრამ დრო გადიოდა და არც მზეხათუნი და არც ჯარდანი საჭმელს პირს არ აკარებდნენ. მზეხათუნს იმედი მაინც ასულდგმულებდა, ჯარდანი გარეთ ეგულებოდა და ფიქრობდა მიხსნისო, ჯარდანს კი ამის იმედიც აღარ ჰქონდა. მართალია ერეკლე ბატონმა თბილისთან მოსული ჯარები დაამარცხა, მაგრამ ეს ხომ საბოლოო გამარჯვება არ იყო. ლეკებზე სალაშქროდ წასულ მეფეს რა მოუვიდა—ჯერ ქალაქში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ იყო მოსული. ამავე დროს დღედღეზე ელოდნენ სპარსეთის შაჰის დამსჯელი რაზმების მოსვლას, ერეკლეს ერთგული ჯარების და მოსახლეობის გაჟლეტას და მოღალატე აბდულა-ბეგის გამეფებას.

შიმშილობის მეათე დღეს ჯარდანმა მოულოდნელად შეამჩნია, ისე გამხდარიყო, ისე გაძვალტყავებულიყო, რომ სრულიად გაუჭირვებლად წაიძრო ფეხზე ბორკილის სალტე, რომლითაც ის კედელზე იყო მიბმული.

იმედმა ფრთები შეასხა, თუმცა სისუსტისაგან ძლივს იდგა ფეხზე და სიარულის დროს ბარბაცებდა. მაშინვე მისწვდა ხმელი პურის ნაჭერს და ღოღნა დაუწყო. ეგონა მოვღონიერდებიო მაგრამ ისეთი კუჭის ტკივილი აუტყდა, კინაღამ გასჭიმა ფეხები. ისევ გაუყარა ფეხი ჯაჭვზე გამობმულ სალტეში და ტკივილებისაგან მისუსტებულს ძლივს ჩაეძინა.

შუადღე იქნებოდა, ზარბაზნების გრიალმა რომ გამოაღვიძა. ციხის ეზოშიაც ერთი ალიაქოთი იდგა. ჯარდანს წარმოდგენაც არ ჰქონდა რა ხდებოდა. მას ეგონა ქალაქში ალბათ შაჰის ჯარები მოვიდნენ და ყველაფერი გათავდა ჩემთვისო. მაინც გადაწყვიტა ადვილად არ დამორჩილებოდა მტერს და თავისი თავი მათთვის ძვირად დაეჯინა. მაშინვე წაიძრო ფეხებზე რგოლი და საკანში მიმოიხედა. მართალია ეს საკანი ჯურღმულში იყო და კარში დატანებულ ჭუჭრუტანიდან ისეთი სუსტი სინათლე შემოდიოდა—გარედან შემოსულ კაცს, თვალში თითი რომ გეკრა, ვერ დაინახავდი, მაგრამ ჯარდანი უკვე შეჩვეული იყო ამ სიბნელეს და ყველაფერს ნათლად ხედავდა. ჯერ ჭუჭრუტანაში გაიხედა, მაგრამ რას დაინახავდა, ჯურღმულიდან კედელში დატანებული და მაღლა მიმავალი ქვის კიბის მეტი არაფერი ჩანდა, ისიც კი საოცარი იყო, აქამდე ხმა როგორ აღწევდა.

კედლებს ხელი მოუსვა, ქვები მოსინჯა. ძველებური დუღაბი მტკიცედ იყო შეკრული. კარებს დაეჯაჯგურა, მაგრად იყო ჩაკეტილი.

გარედან კი კვლავ მოისმოდა ზარბაზნების ყრუ გუგუნი და მეციხოვნეთა ზრიალ-ყვირილი. ორში ერთი იყო, ან შაჰის ჯარები შემოსულიყვნენ ქალაქში, ან ერეკლეს ჯარებს იერიში მიჰქონდა ციხეზე.

ჯარდანი მიეკრა კარს და ცდილობდა ამ ჟრიამულსა და ალიაქოთში რაიმე სანუგეშოსთვის მაინც მოეკრა ყური. მაგრამ მას გული ისეთი ბაგა-ბუგით უცემდა, რომ ვერაფერი, ერთი სიტყვაც ვერ გაარჩია, თუ რა ხდებოდა გარეთ.

*

* *

ასეთივე მწარე ფიქრებით იყო შეპყრობილი მზეხათუნი. მართალია, ის დამწყვდეული იყო იმ მაღალი კოშკის ზედა სენაკში, რომელიც დაბალხანის ხევს და თათრების სასაფლაოს გადაჰყურებდა, მაგრამ არც იქიდან ჩანდა რაიმე, მზეხათუნს მარტოდმარტო ზარბაზნების ქუხილი და მეციხოვნეთა ჟრიამული ესმოდა.

ეს ახალგაზრდა ქალი მოუთმენლად ელოდა იმ საბედნიერო წუთებს, როდესაც მას ტყვეობიდან იხსნიდა მისი მიჯნური ჯარდანი. ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნეს თავისი სატრფო ტარიელად წარმოედგინა და



მზეხათუნი ციხისთავს შუა კოშკის სენაკში ჰყავდა ჩაკეტილი.

სულ იმაზე ოცნებობდა: აი, აგერ მოვა ჩემი აბჯრიანი რაინდი. აიღებს ამ ქაჯეთის ციხეს, დალეწავს ყველა კარებს, დაჰხოცავს მეციხოვნეებს და წამიყვანსო. რა იცოდა, რომ მისი ტარიელი ბნელ ჯურღმულში იყო გამომწყვდეული, მასავით იტანჯებოდა და მხსნელს ელოდა.

დიდი გულისყურით უგდებდა ყურს გარეთ ატეხილ ამ ხმაურს და ზარბაზნების გრიალს მზეხათუნი, მაგრამ არც კოშკში მოსულა ვინმე და ციხის გალავანშიაც ვერავის მოჰკრა თვალი გარდა მეციხოვნე ჯარისკაცებისა, რომელნიც დაფეთებულივით გარბი-გამორბოდნენ და გზადაგზა ჯაზაირებს ტენიდნენ.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა, სროლის ხმაც მიწყდა და ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

მზეხათუნი მოუთმენლად ელოდა, აი, აგერ გაჩნდება ვინმე და ამბავს მეტყვის, აი აგერო, თანახმა იყო თუნდაც დურა-ხანი მოსულიყო, თუმცა იმის დანახვა შიშით ზარავდა და მაშინვე გულმკერდში ჩამალულ პატარა ხანჯალს მოისინჯავდა, მზად იყო თავი მოეკლა, მაგრამ ახლა, ახალი ამბავის გაგების ციებცხელებით შეპყრობილს, ციხისთავის დანახვაც კი სასიხარულოდ ეჩვენებოდა.

დაღამდა. გაჭიანურდა გაუთავებლად გრძელი ღამე. ერთხელაც არ მოუხუჭავს თვალი მზეხათუნს. სარკმელზე აკრული იგი გაჰყურებდა ზეცას და, როდესაც ცისკრის ვარსკვლავი ამოიწვერა და ალიონმა ცისკიდური ვარდისფრად შეღება, მოულოდნელად თაბორის მთიდან ქუხილი მოისმა.

* * *

რა ხდებოდა ამ დროს გარეთ და რა მოხდა წინადღით, როდესაც ჯარდანსაც და მზეხათუნსაც პირველად მოესმათ ეს აურზაური და სროლის ხმები?

ერეკლემ ჩამოატანინა გორიდან ბოჰორმის ცნობილი ზარბაზანი და მახათას მთის კალთებიდან მეტეხის ციხეს მოადგა. ბოჰორმის ზარბაზანს უმცროსი ძმებივით თორმეტი სხვა ზარბაზანი ამოუყენა და მეციხოვნეებს შეუთვალა, ტყუილუბრალოდ ციხეს ნუ დამანგრევინებთ, თქვენის ნებით გახსენით კარიბჭე, თუ გინდათ ყველას სიცოცხლე გიწყალობოთო.

მეტეხის ციხეში ერთი ბრიყვი უზბაში იყო ციხისთავად და მეფეს შეუთვალა, ამ ციხეში ათადან-ბაბადან სპარსეთის შაჰის მონები ყოფილან, არ გაბედო და ხელი არ გვახლო, თორემ რაც შენ მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო.

მაშინ ერეკლემ მეზარბაზნეებს უბრძანა დაეშინათ ციხისათვის, და დაიქუხა ბოჰორმის ზარბაზანმა. მართალია, ამ სროლამ მაშინ მეტეხის ტაძარიც დააზიანა, მაგრამ მალე შელეწეს მეტეხის ციხის კარიბჭე, იმ წამსვე ერეკლეს ჯარებიც შეცვივდნენ ციხეში და მეციხოვნეებთან ერთად იქ შეხიზნული თბილისში მცხოვრები მაჰმადიანი მოქალაქენიც დაატყვევეს.

თბილისელები სიხარულით მიაწყდნენ მეტეხის ხიდს. ახლა უკვე აღარ იყო საშიში ხიდზე გასვლა. ნარიყალას ციხიდან აქ თოფის ტყვია ვერ უწევდა, ხოლო ზარბაზნის დამიზნება შეუძლებელი იყო. ამიტომ ყველანი გარბოდნენ მეტეხისაკენ, ათვალიერებდნენ ციხის გალავანს, კედლებში დატანებულ გოდლებს, დაზიანებულ ტაძარს, და ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას.

აქ იყო გოდერძიც. იგი სიხარულის ცრემლებს ღვრიდა და მუდარით შესცქეროდა მეფეს, ნარიყალას ციხეზე უთითებდა, სადაც თავისი საყვარელი არსებანი — ქალიშვილი მზეხათუნი და ჯარდანი ეგულებოდა.

ნარიყალას ციხე კი მდუმარებდა. მართალია, იქედან ერთი-ორჯერ ისროლეს ზარბაზანი და ჯაზაირებიც დააქუხეს, მაგრამ მერე სროლას თავი ანებეს — ეტყობოდა, ტყვიაწამალს ზოგავდნენ.

ახლა ეს ციხე მდუმარე გველეშაპივით გადაგრაგნილიყო კლდოვან ქედზე და არავინ იცოდა რა ხდებოდა მის კედლებს შიგნით.

მტერს რომ გონს მოსვლა ვერ მოესწრო, ერეკლემ ბრძანა იმავე ღამით გადაეტანათ მთელი არტილერია თაბორის მთაზე, რომელიც ზევიდან დაჰყურებდა ნარიყალას. ხიდზე ახლა თავისუფლად შეიძლებოდა გასვლა, ამიტომ დაუბეს კამეჩები ზარბაზნებს და გათენებამდე კრწანისზე მოვლით თაბორის მთაზე აიტანეს.

ერეკლემ, აქაც იგივე წესით, დურა—ხანს შეუთვალა, ციხის კედლებს ნუ დამანგრევინებ, შენის ნებით დამნებდი და არა თუ ხელს გახლებ, თავისუფლად გაგიშვებ სპარსეთშიო.

დურა-ხანს გუნებაში ბარემ ერჩია დანებებულიყო, მაგრამ იცოდა სპარსეთში მას სულ ერთია თავს წააცლიდნენ, შენის ნებით ციხე როგორ ჩააბარე მტერს და რად არ დაელოდე ჩვენი ჯარების მოსვლასო, ამიტომ მანაც საკმაოდ მკვახე პასუხი შეუთვალა ერეკლეს — შენ სპარსეთის შაჰის მოღალატე ხელქვეითი ხარ, საქართველო მისი საბრძანებელია, შენ თვითონ მოეთრიე და, თუ გინდა სიცოცხლე შეგინარჩუნო, ფეხის გულები დამიკოცნეო.

მაშინ, სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთიდან ცისკრის ვარსკვლავი ამოციმციმდა და ცისკიდური აფერადდა, დაიქუხა ბოჰორმის ზარბაზანმა, გადაიშხივლა ყუმბარამ და ნარიყალას ციხის ეზოში ზღართანი მოადინა.

ამას კი არ მოელოდნენ არც ციხისთავი და არც იქ თავშეფარებული მცხოვრებლები. სანამ გონს მოვიდოდნენ, ეს რა ამბავი ხდება ჩვენს თავზეო, და ტანსაცმლის ჩაცმას მოასწრებდნენ, ისევ დაიქუხა ერეკლეს ზარბაზანმა, ისევ ზუზუნ-შხივილით ჩამოვარდა ყუმბარა და ახლა ახალი უბედურება დატრიალდა: ყუმბარა რამდენჯერმე ასხლტა კლდეებზე და კედლებზე, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, რამდენიმე კაცი გაიტანა და გოდლის კარებს მიასკდა.

ახლა კი იფიქრეს შეხიზნულებმა ცუდათაა ჩვენი საქმეო და ციხისთავს ეცნენ, თუ შენი თავი არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიცოდე, რას გვერჩი, რადა გვღუპავო.



ბოლმისაგან კრიჭაშეკრულ ჯარდანს მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს.

ციხისთავი ჯერ უარზე იყო, ალლაჰს ევედრებოდა ხსნა მომივლინეო, მაგრამ ალლაჰთან ვედრებაში ზედიზედ დაიწყო ციხის ეზოში ცვენა ყუმბარებმა.

მაშინ კი იკადრა ციხისთავმა და ციხის კედლებზე თეთრი ბაირაღი აღმართა.

კარიბჭე გახსნეს და გამარჯვებული ქართველთა ჯარები ციხეში შევიდნენ.

* * *

გახარებული გოდერძი მაშინვე შევარდა ციხეში და თავის შვილს დაუწყო ძებნა. პირველად ჯარდანს მიაგნეს და საკანიდან გარეთ გამოიყვანეს.

მისუსტებულმა ჯარდანმა უთხრა: არც ის ვიცი, მზეხათუნს რა მოუვიდა, და არც ის, თუ რომელ კოშკში ჰყავს იგი ციხისთავს დამწყვდეულიო. მაშინ გოდერძი სარდალ ორბელიანთან მივარდა, რომელსაც დატყვევებული მეციხოვნენი ებარა და სთხოვა: ციხისთავს ჰკითხე ჩემი ქალი სადა ჰყავს დამალულიო. ორბელიანმა მიუგო: ვერც ციხისთავი, ვერც მოღალატე აბდულა-ბეგი ვერ ვნახეთ, როგორც ეტყობა, ისინი ციხის საიდუმლო გვირაბით გაპარულან და შენი ქალიც ალბათ იმ გზით გაიტაცესო.

— სად არის ის გვირაბი, მიჩვენე, რომ ახლავე დავედევნოო, — შეჰღრიალა თავზარდაცემულმა გოდერძიმ.

— ეგ რომ ვიცოდე, განა შენ გაცლიდი, იმათ მე თვითონ დავედევნებოდი, — უპასუხა სარდალმა, — იმ გვირაბს საიდუმლო კარი აქვს და იქნებ ათასი წელიც გავიდეს იმ კარს ვერავინ მიაგნოს.

მაშინ გოდერძი და ჯარდანი მეფეს ეახლნენ, რომელსაც სასახლეში ამ გამარჯვების გამო საზეიმო ნადიმი ჰქონდა გამართული.

ერეკლემ მოუსმინა ორთავეს და მცირე დუმილის შემდეგ უთხრა:

— ეგ გვირაბი, რაც არ უნდა დიდი იყოს, ან დაბაღხანის ხევში უნდა გადიოდეს, ან სალალაკის მხარეს, ან აბანოებთან, ან სადმე ქალაქში, შეიძლება რომელიმე მოქალაქის მარნის ერთ-ერთ ცარიელ ქვევრში ჰქონდეს ამოსასვლელი, ან სადმე ბუხრის ყელში, ან ეკლესიის, უფრო შესაძლებელია მეჩეთის კედელში, რას გაიგებ სად არი მოწყობილი. ამ ციხეს სამასი წელია სპარსელები ფლობდნენ და სად რა გააკეთეს საიდან გვეცოდინება. ისევ ქალაქში უნდა ვეძებოთ, ან ქალაქგარეთ მდევრები დავადევნოთ.

ერეკლე ასეც მოიქცა, მაშინვე მდევრები აფრინა და თანაც უბრძანა მთელი ქალაქი გაეჩხრიკათ, ყოველი სახლი, სადგომი, ბაკი, მარანი თუ ჰა, ყველაფერი გულდასმით დაეთვალიერებიათ, თვით ციხეშიაც ეძებნათ, იქნებ იმ საიდუმლო გვირაბის შესასვლელი ეპოვათ.

მთელი კვირა ფეხზე იდგა დიდი და პატარა, მაგრამ ვერც გვირაბის საიდუმლოება გახსნეს, ვერც აბდულა-ბეგის და დურა-ხანის კვალს მიაგნეს.

გოდერძი გლოვას მიეცა, მთელი დღეები შინ იჯდა და თავის მეუღლესთან ერთად ცხარე ცრემლებს ღვრიდა თავისი ერთადერთი ქალის დაღუპვის თუ დაკარგვის გამო. ჯარდანი კი მეფის მიერ ბოძებული რაზმით დაძრწოდა, ხან განჯაში ამოჰყოფდა თავს, ხან შირვანში, ხან სად და ხან სად. ბოლოს გაიგო: აბდულა-ბეგი ერევნის ხანთან ბრძანდება, ხოლო დურა-ხანი ნახჭევანის ხანთან იმყოფებაო.

ჯარდანი მაშინვე გაუდგა ნახჭევანის გზას, აქლემი იყიდა, თავზე ინდური ჩალმა დაიხურა, თავის რაზმელებსაც ასეთივე ჩალმები დახურა, უბრძანა ქართული არავის წამოგცდეთ, ყველამ ქაჯურად ილაპარაკეთო და ასე აქლემზე შემჯდარი თავრიზის გზით ნახჭევანში შევიდა, ქარვასლაში დაბინავდა და თავი ყველას ინდოელ

მუშაითად გააცნო. მეორე დღეს მოედანზე სანახაობა გამართა. ხან შიშველ ხმლებზე იარა ფეხშიშველმა, ხან აქლემზე გადახტა და ჰაერში ყირაზე გადავიდა, ხან გაბმულ თოკზე გავიდა და თავისი ოსტატობით ყველანი განაცვიფრა. ნახჭევნის ხანმა ისურვა თავის სასახლის ბაღში მიეწვია ეს უცხო ოსტატი. ჯარდანი დათანხმდა, თავისი ამალით ეწვია ხანს და უჩვენა თავისი ოსტატობა.

ხანი აღტაცებაში მოვიდა და უთხრა სადილად ჩემი სტუმარი იყავიო.

ჯარდანმა თავისი ერთ-ერთი რაზმელი ფშავი ჯიბრია გაიყოლა, რომელმაც თურქული იცოდა და ხანს ეახლა.

სადილზე ჯარდანმა ხანს მოახსენა, ასეთი ძვირფასი სასახლე აგიგიათ და კედლები და ჭერი ასე ჩამოქექილი რადა გაქვთო?

ხანმა მიუგო: მხატვარი ვერ ვიშოვე, ისფაჰანიდან დიდებული ყაენის მხატვარი უნდა მხლებოდა, მაგრამ არა სცალიაო.

მაშინ ჯარდანმა უთხრა, მე მხატვარი ვარ, ამ სასახლეს გნებავთ ხით მოგიჩუქრთმებთ, გნებავთ თაბაშირით, გნებავთ ფერადი საღებავებითო.

ხანი სიხარულით დათანხმდა, მოურიგდა და ჯარდანიც საქმეს შეუდგა. მან უკვე გაიგო, რომ მისი მზეხათუნი დურა ხანს ნახჭევანის ხანისთვის მიერთმია. მას კი ეს ტურფა ასული დიდ რვაკუთხიან კოშკში დაემწყვდია, თავზე მსახურები დაეყენებია და ებრძანებია ამას თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, ნარდიონში განბანეთ, ეს ქალი ყაენის საკადრისია და იმას უნდა მივართვაო.

ჯარდანმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, კოშკში შესულიყო და მზეხათუნი ეხსნა. ვინაიდან მან ჯადოქარივით იცოდა კედლებზე ცოცვა, ამიტომ მჭედელს რკინის სოლები დაამზადებინა, რომ, სადაც აგურს ხელს ვერ მოჭიდებდა, იქ სოლი დაერჭო და ისე აცოცებულიყო კედელზე. ეს რვაკუთხიანი კოშკი ხანის სასახლის ოდნავ მოშორებით იდგა.*

ჯარდანმა რაზმელები გააფრთხილა, რომ ღამით სადარაჯოზე მდგარიყვნენ და თავის განზრახვის შესრულებას შეუდგა. მან განგებ აირჩია უმთვარო და ღრუბლიანი ღამე, რომ ვერავის დაენახა იგი კედელზე აცოცებული.

რაზმელები გულის ფანცქალით ელოდნენ ჯარდანის დაბრუნებას, მაგრამ გათენდა და ჯარდანი არსად ჩანდა. არც ის იცოდნენ, ავიდა კედელზე თუ არა.

მხოლოდ დილით დაინახეს, რომ კოშკის კარი გაიღო, იქედან ორი ჩადრიანი ქალი გამოვიდა, რომელთაც მხარზე სპილენძის თუნგები შეედგათ, და ორთავენი წყაროსაკენ გაუდგნენ გზას.

სადარაჯოზე მდგარმა ჯიბრიამ მაშინვე მოისაზრა, რაღაც სხვანაირად უნდა იყოს საქმეო, ვითომ თვითონაც წყაროზე მიდიოდა, ქალებს დაედევნა, დაღმართი ჩაირბინა და, როდესაც მათ გვერდი გაუარა, ერთერთმა ქალმა ჩასჩურჩულა:

— ჩქარა ცხენები, თქვე ვირებო, ჩვენ ასე ვივლით არეზამდეო. ჯიბრიამ ხმაზე იცნო ჯარდანი და მაშინვე უკან გაბრუნდა. სულ რამდენიმე წუთში ბიჭები ცხენებზე ისხდნენ. ჩადრიანებს სოფელ ჰამამლოსთან წამოეწიენ, ცხენებზე შესვეს და ნახევარ საათში უკვე არეზგაღმა მიაქროლებდნენ თავიანთ ბედაურებს.

კარგა გათენებული იყო, როდესაც ხანის სასახლეში გაიგეს რაც მოხდა და გაქცეულებს მდევრები დაადევნეს, მაგრამ გვიანღა იყო. გაქცეულებმა თავს უშველეს, ხოლო ნახჭევნის ხანს ისღა დარჩენოდა, რომ ყაენისათვის მზეხათუნის ნაცვლად ის აქლემი მიერთმია, რომელიც ქართველმა ბიჭებმა ფუნდუკში მიატოვეს და რომელიც ახლა ხანის საკუთრებას წარმოადგენდა.

*
* * *

როდესაც მზეხათუნმა უამბო ერეკლე მეფეს, თუ როგორ გაიტაცეს იგი და უჩვენა ის საიდუმლო გვირაბიც, მეფემ ბრძანა ეს გვირაბი თავიდან ბოლომდე აეფეთქებიათ და ჩაექციათ. ისეთ გვირაბს ფასი არა აქვს, რომელიც მტრის ნაკეთებია, რადგან იგი მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენსო.

ამის შემდეგ ჯარდანმა და მზეხათუნმა დიდის ზეიმით იქორწინეს და ჯარდანმა თავისი მეუღლის პატივსაცემად ის დარბაზი, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, თავისი ხელით შეამკო და მოაჩუქურთმა ისე, რომ ყოველსა მნახველს განაცვიფრებდა.

ამ სახლის სანახავად თვით ბატონი ერეკლეც მობრძანდა და იმდენად მოეწონა კედლების მოხატულობა, იშვიათი ჩუქურთმები და ხვეულები, რომ ეს შენობა იყიდა გოდერძისაგან, საბადლოთ სხვა, უკეთესი სახლი უბოძა, ხოლო აქ საიდუმლო შეხვედრებს აწყობდა უცხოეთის ელჩებთან, და ამბობდნენ ამ სახლიდან სასახლემდე საიდუმლო გვირაბიც კი გააჭრევინაო.

*
* *

ასე მთავრდება ეს მოთხრობა, ხოლო მართლა არსებობდა თუ არა ეს საიდუმლო გვირაბი ამ სახლიდან ერეკლეს სასახლემდე, ამას მომავალი გათხრები და გამოკვლევა გვიჩვენებს.



---

* ეს კოშკი დღესაც დაცულია ნახჭევანში, მას ზემოთ არაბული წარწერები აქვს, ხოლო შიგნით, როგორც მითხრეს, ქართული წარწერები ჰქონია. ხანის ყოფილ სასახლეში კი ამჟამად საქსოვი ფაბრიკაა.




# მწერიჭამია მცენარეები

ყველანი კარგად იცნობთ მწერიჭამია ფრინველებს, მაგრამ მწერიჭამია მცენარეების შესახებ იშვიათად გაგიგონიათ. ასეთი მცენარეები უმთავრესად ტროპიკებში მოიპოვება და ხუთას სხვადასხვა სახეობამდე აღწევს.

მცენარეს არსებობისათვის კვება ესაჭიროება. ზოგჯერ კი იგი ისეთ პირობებშია მოქცეული, რომ მას კვების ჩვეულებრივი ხერხი არ გამოადგება. ამიტომ მან ან კვების ახალ ხერხს უნდა მიმართოს, ან უნდა დაიღუპოს. საკვების დიდ სიმცირეს განიცდიან ის მცენარეები, რომლებიც ჭაობში, ქვიშაში ან ქვიან ადგილებში იზრდებიან. ამის გამო ამ მცენარეებს თანდათანობით უვითარდებათ განსაკუთრებული დამჭერი მოწყობილობა, რითაც იჭერენ მწერებს და მათი ხორცით იკვებებიან. ასეთი მცენარეებია: სარაცენია, ნეპენტესი, ბუშტოსანა, ბუზიჭერია, დროზერა და სხვანი.

დროზერა საბჭოთა კავშირის ჭაობებსა და ტორფებში იზრდება. იგი საშუალო ზომის მცენარეა, ფოთლები ჯგუფად აქვს შეკრებილი საყვავილე ღეროს ძირში. მისი ფოთოლი ნიჩბისებურია, ზედაპირი და ნაპირები წითელი, გრძელი წამწამებით აქვს შემოსილი. ამ წამწამების ბოლოები გამსხვილებულია და დაფარულია გამჭვირვალე წვენის წვეთებით. სწორედ ეს წვენი იზიდავს მწერებს. სურათზე თქვენ ხედავთ დროზერას ფოთლის წამწამების მოძრაობას.





საინტერესოა, როგორ იჭერს დროზერა მწერებს ამ ფოთლის შემწეობით. მოფრენილი კოღო ფოთოლზე ჯდება, იგი ცდილობს რაც შეიძლება ფრთხილად იმოძრაოს, მაგრამ ფეხებით მაინც ხვდება ფოთლის წამწამებს. წამწამები კი ამ შეხების შედეგად გამოჰყოფენ წვენს, რომელშიაც ამოისვრება ხოლმე კოღო. კოღო ცდილობს გაფრენას, მაგრამ ამაოდ, რაც უფრო მეტად მოძრაობს, მით უფრო მეტ წამწამებს ეხება იგი, უფრო მეტი წვენი გამოიყოფა ფოთლის ზედაპირზე, მით უფრო მეტად ეკვრება მწერი ფოთოლს. ბოლოს ეს წვენი ამუშავებს კოღოს ყველა რბილ ნაწილს და მცენარეც ფოთოლში გაჟონვის შემდეგ ითვისებს ამ საკვებს. დაუმუშავებელი რჩება მხოლოდ მწერის ჩონჩხი და ფრთები.

ასეთივე მოძრაობის უნარი აქვს აგრეთვე ბუზიჭერია მცენარის ფოთლებსაც. ბუზიჭერიას ფოთლის ნაპირები დაკბილულია, ფოთლის შუა ნაწილში კი ჯირკვლებია, რომლებიც მომნელებელ წვენს გამოჰყოფენ. როგორც სურათზე ვხედავთ, ბუზიჭერიას ფოთოლი ორი ნახევრისაგან შედგება, თითოეულ მათგანზე სამ-სამი ბუსუსია განვითარებული. საკმარისია ამ ბუსუსებს რაიმე შეეხოს, რომ ფოთოლი იხურება. მისი კბილები ისე მჭიდროდ შედის ერთმანეთში, რომ იქ მოხვედრილი მწერი უკან გამოსვლას ვერაფრით ვერ ახერხებს. ფოთოლი მხოლოდ მაშინ იღება, როცა შიგ მოხვედრილი მწერის რბილი ნაწილები დამუშავდება და შეიწოვება მცენარის მიერ.

მეტად საინტერესოა ისიც, რომ ამ ორ მცენარეს შეუძლია ხორცის, ყველის და მოხარშული კვერცხის მონელებაც. თუ ბუზიჭერიას ფოთოლზე ხორცის ნაჭერს დადებთ, ფოთოლი მაშინვე დაიხურება და გამოიყოფა წვენი, რომლის შემწეობითაც ხდება ამ ხორცის მონელება.

თუ ხორცის ნაცვლად, საცდელად, ფოთოლზე ქვიშას ან ქაღალდის ნაჭერს დავდებთ, ფოთოლი არც კი შეირხევა, დადებული ნაჭერიც უცვლელად დარჩება.

**რ. ბერიძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.



**სიმონ სხირტლაძე**

# ქართული ნაბეჭდი წიგნის თავგადასავალი

ვისაუბროთ ქართული ნაბეჭდი წიგნის საინტერესო ისტორიაზე, ჩვენი სახელოვანი წინაპრების თავდადებულ შრომასა და უსაზღვრო სიყვარულზე ადამიანის გონების ამ სწორუპოვარი საუნჯისადმი.

საბეჭდი მანქანის გამოგონებით, რაც გუტენბერგის სახელთანაა დაკავშირებული, კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო.

ბუნებით ნიჭიერ ქართველ ხალხს, გარეშე და შინაურ მტერთაგან დაუსრულებელმა რბევა-აწიოკებამ შესაძლებლობა არ მისცა გუტენბერგის ამ შესანიშნავი გამოგონებისათვის თავის დროზე გაეღო კარი.

სანამ ჩვენი ხალხი ამ აღმოჩენას გამოიყენებდა და წიგნის ბეჭდვას ხელს მიჰყოფდა, ბევრად უფრო ადრე, ქართველთა გონებრივი ჭირნახული ჰილისა (პაპირუსის) და პერგამენტის (ტყავის) მასალაზე იწერებოდა. 11—12 საუკუნეებიდან კი ქაღალდზე დაწერილი წიგნები გვხვდება. რომლის ფურცლებიც საუკეთესო კალიგრაფების ხელით იქარგებოდა. ვინაიდან ქაღალდი იმ ხანებში ქართველებისათვის ძნელად მისაწვდომი ყოფილა, ამიტომ მე-18 საუკუნის გასვლამდე მეტწილად პერგამენტი ანუ ეტრატი იხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორის დადებული ტრაქტატი, დათარიღებული 1783 წლით, ეტრატზეა დაწერილი.

როგორც დასტურდება, წიგნის გადამწერლობა ჩვენში უძველესი დროიდან გარკვეული სპეციალობა ყოფილა. კარგ გადამწერს დიდი შემოსავალი ჰქონია და მისგან გაფორმებული წიგნი ძვირადაც ღირებულა. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დამოწმებით, მე-11 საუკუნის ერთ-ერთ სიგელში ასეთი მინაწერი იკითხება: „ვიყადე წიგნი პარაკლიტონი და ფასად მივეც ცხენისა ნახევარიო“. ქართული ეკლესია-მონასტერები, რომელთა ქსელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იყო გაშლილი, წარმოადგენდა იმ კერას, სადაც დაუღალავი მუშაობა სწარმოებდა წიგნის გადაწერისათვის. ასევე დაუცხრომელი სამწიგნობრო საქმიანობა იყო გაჩაღებული ცალკეულ ოჯახებში. ამ გზით მოაღწია ჩვენამდე შოთას უკვდავმა „ვეფხის ტყაოსანმა“, დ. გურამიშვილის „დავითიანმა“, „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებმა და ეროვნული კულტურის სხვა მრავალმა ღირსშესანიშნავმა ძეგლმა.

რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაღუპულ ძეგლებზე, უდავო ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ქართული მწიგნობრობა 5 საუკუნიდან უკვე არსებულა. 8-10 საუკუნეებიდან კი ქართული წიგნთსაცავების ქსელით მოფენილი იყო მახლობელი და შორეული ქვეყნები. მაგალითად: სინას მთაზე, პალესტინაში და საბერძნეთში არა მარტო ქართული, ორიგინალური წიგნები იწერებოდა, არამედ არაბული. ბერძნული და სირიული ენებიდანაც ითარგმნებოდა სღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შინაარსის ძეგლები.



ALPHABETVM IBERICVM, Siue GEORGIANVM Vulgare.

Habet litteras Triginta sex.

| Figura. | Nomen. | | Potestas. |
|---|---|---|---|
| ა | ან | An | a, |
| ბ | ბან | Ban | b; |
| გ | გან | Ghan | gh, |
| დ | დონ | Don | d, |
| ე | ენ | En | e, |
| ვ | ვინ | Vin | u, |
| ზ | ზენ | Zen | z, |
| ჱ | ჱჲი | Hai | h, |
| ჰ | ჰაი | Hhai | hh, |
| თ | თან | Than | th, |
| ი | ინ | In | i, |

A 2 3

ქართული ანბანი ლოცვებით. რომი, 1629 წ.

*
* *

ქართველი ხალხი ოდითგანვე უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა წიგნისადმი. ლამაზად გადაწერილ წიგნს საგანგებოდ, ოქრო-ვერცხლით მოკაზმულ ყდაში სვამდნენ. ბედნიერი იყო ქართველი ქალი, რომელსაც სხვა მზითევთან ერთად ასეთი წიგნიც დაამშვენებდა. უფრო მეტი: წიგნს ცოცხალი ადამიანის თვისებებსაც კი მიაწერდნენ. ასე მაგალითად, თუ რომელიმე ძვირფასი წიგნი მტერს ნადავლის სახით ხელთ ჩაუვარდებოდა, მას პატრონი „დატყვევებულს“ ეძახდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა გამაფრთხილებელი წარწერა ერთ-ერთ ქართულ წიგნზე, რომელსაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს შესაძლოა ასეთი ბედი სწვევოდა: „... მეფის ირაკლისა ვარ. ჩემს წარტყვენას ნუვინ ხელყოფთ, თორემ დაისჯებით“.

*
* *

როგორც აღვნიშნეთ, მძიმე ეკონომიურმა პირობებმა და პოლიტიკურმა ბედუკუღმართობამ ქართველ ხალხს შესაძლებლობა არ მისცა პირველი ქართული სტამბა თავის სამშობლოში აემუშავებინა. ამიტომაც არაა გასაკვირველი, რომ ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნიდან საკმაოდ მოშორებით გადაიდგა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინა საუკუნეებს, მე-17 საუკუნიდან საქართველოსადმი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინეს იტალიელმა მისიონერებმა, რომელთაც ეკონომიური და რელიგიური მიზნებით ხელი მიჰყვეს ქართული ენის შესწავლას. ამ გარემოებამ აიძულა ისინი განათლებული ქართველების უშუალო მონაწილეობით იტალიაში აემუშავებინათ პირველი ქართული სტამბა. მართლაც, 1629 წელს რომში გამოიცა ორი პირველი ნაბეჭდი წიგნი ასეთი სათაურით:

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ.“

ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგომი ისტორია, გამოჩენილი პოეტისა და მეფის—არჩილის სახელთანაა დაკავშირებული. პოლიტიკური ბედუკუღმართობის გამო რუსეთში გადახვეწილი არჩილი პეტრე I ნებართ-



1705 წელს მოსკოვში გამოცემული დავითიანი.




1670 წელს რომში გამოცემული ქართული ენის გრამატიკის თავფურცელი.

ვით ქართულ შრიფტს აკეთებინებს და 1705 წელს მოსკოვის სინოდალურ სტამბასთან მოწყობილ ქართულ წიგნთსაბეჭდავში პირველად ბეჭდავს ცნობილ საეკლესიო საგალობლებს —„ფსალმუნს". მაგრამ ოჯახური უბედურებისგამო არჩილმა საგამომცემლო საქმიანობა მალე შეწყვიტა.

როგორც ცნობილია, ამ ხანებში ქართველ ხალხს მეტად მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება. შაჰ-აბაზის თავდასხმებმა დიდხანს შეაჩერა ერის კულტურული მაჯისცემა. მიუხედავად ამისა, მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ნიჭიერი მეფისა და პოეტის ვახტანგ VI-ის მზრუნველობით თბილისში დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეყრება საფუძველი. თავისი ქვეყნის დიდი მოამაგე სამეფო სასახლის მახლობლად სპეციალურად აგებს სტამბის სახლს. და სასტამბო საქმის მცოდნე პირებსაც იგი ვლახეთიდან იწერს. ვახტანგის სტამბაში 1709 წელს დაიწყო წიგნების ბეჭდვა. 1712 წელს ამ სტამბაში მხედრული შრიფტით პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი", ვახტანგისავე კომენტარებით.

ჯერ ვახტანგის პირადმა პოლიტიკურმა ტრაგედიამ, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის საერთო ბედუკუღმართობამ ბოლო მოუღო დიდი პატრიოტის მიერ გახსნილ და აღორძინებულ პირველ სტამბას. 1724 წელს მეფე და მისი უაღრესად განათლებული თანამემამულენი რუსეთში გადაიხვეწნენ, რასაც შედეგად მოჰყვა ასე მხურვალედ დაწყებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შეწყვეტა.



ვახტანგ VI

* * *

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ვახტანგის შვილებსა და თანამოღვაწეებს რუსეთში მაინც არ შეუწყვეტიათ ზრუნვა ქართული სტამბის აღდგენაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არჩილ მეფემ ჩაუყარა საფუძველი. და აი, მოსკოვში, სრულიად ახალ ვითარებაში, 1737 წლიდან გამოდის თერთმეტი სქელტანიანი წიგნი, რომელთაგან აღსანიშნავია: „სახარება" (1739 წ.), „ბიბლია" (1744 წ.) და იოანე დამასკელის ღვთისმეტყველო თხზულება, ადრევე გადმოთარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ.

მოსკოვში სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობას სათავეში ედგნენ იოსებ სამებელი, ჩვენი დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ძმა—ქრისტეფორე, მეფის ძენი: ბაქარი, ვახუშტი და სხვა ბატონიშვილები. იოსებ სამებელისა და ბაქარის გარდაცვალების შემდეგ ეს სტამბა 1455 წელს პეტერბურგში გადაიტანეს და სამეცნიერო აკადემიის გამომცემლობასთან მოათავსეს. სხვადასხვა მიზეზის გამო, აღნიშნულმა სტამბამაც რამდენიმე წლით მუშაობა შეწყვტა. 1762 წლიდან ქართული წიგნების ბეჭდვა განახლდა მოსკოვის სტამბაში. ქართული წიგნები იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა დროს კრემენჩუგში, მოზდოკში, ვენეციაში, კონსტანტინეპოლში. კერძოდ, მოზდოკში დიდი საგამომცემლო მუშაობა გაუწევია გაიოზ ნაცვლიშვილს, შემდეგში თელავის სემინარიის რექტორს.

* * *

რაც შეეხება ქართული სტამბის ბედს თვით საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, ვაგტანგ VI-ის გადახვეწის შემდეგ შემოსეულმა მტერმა იგი დაუნდობლად მოშალა და გააოხრა, ვახტანგის სტამბის აღდგენა-განახლება მხოლოდ 1749 წელს მოხერხდა. სახელგანთქმულმა ერეკლე მეფემ ანტონ I- ლის დახმარებით 1751 წლიდან სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და მრავალი წიგნიც გამოსცა. ქართული წიგნების ბეჭდა-გამოცემის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტეფორე კეჟერაშვილს, რომელსაც ერეკლემ სტამბის წარმოება ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის 90-იან წლებიდან შრიფტის ჩამოსხმა და გაკეთება თვით თბილსში სწარმოებდა.

ერეკლეს მიერ განახლებული და გამართული სტამბა აღა-მაჰმად-ხანმაააკლებინა 1795 წელს. ამ სტამბის აღდგენა მეფის ძემ, გიორგი 13-ემ მოინდომა, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელა. 1800 წელს თბილისის სტამბა კვლავ კეჟერაშვილმა აახმაურა.

მეტად საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნის დასაწისიდან დასავლეთ საქათველოშიც დიდ დაინტერესებას იჩენენ სასტამბო საქმიანობისადმი, 1800 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ქუთაისში აარსებს პირველ სტამ-




რომში 1629 წელს გამოცემული ქართული ანბანის თავფურცელი.



რომში 1629 წელს გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

ზას, სადაც მრავალი საეკლესიო წიგნი დაიბეჭდა. ეს სტამბა 1809-11 წლებში მუშაობას განაგრძობს სოფელ წესში, მაგრამ საერთო არეულობის გამო მანაც მალე შეწყვიტა საგამომცემლო მუშაობა. 1815 წელს წესიდან იგი საჩაერეში გადაუტანიათ ზურაბ და გრიგოლ წერეთლების სასახლეში, ხოლო 1820 წლიდან კვლავ ქუთაისში ჩაუტანიათ.

* * *

მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის საქმე თბილისში საგრძნობლად შეფერხებულა. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს იოანე ქართველიშვილის გრამატიკა, გამოცემული 1815 წელს, და სოლომონ დოდაშვილის „ქართული გრამტიკა" (1830 წ.). რვა წლის შემდეგ, 1838 წელს გამოდის ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის „ანბანი".

ამავე ხანებში სულ სხვა მდგომარეობაა რუსეთში, სადაც ქართული წიგნის ბეჭდვამ პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში სისტემატური ხასიათი მიიღო. აქ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართული სამეცნიერო წიგნების გამოცემის საქმეს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი მარი ბროსე და ცნობილი ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინაშვილი. ამავე ხანებში მრავალი ქართული წიგნი იბეჭდება მოსკოვის სინოდალური კანტორის სტამბაში. ცოტა უფრო ადრე კი, მარი ბროსეს დაუცხრომელი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად, პარიზში გამოდის მთელი რიგი ქართული საისტორიო და ლინგვისტური ხასიათის შრომები ფრანგულ-ქართული ტექსტებით.

რუსეთის სტამბებში დამკვიდრებული ქართული წიგნის ბეჭვდის ტრადიცია იმდენად მყარი გამოდგა, რომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული წიგნის გამოცემა პეტერბურგში კვლავ შეუფერხებლად მიმდინარეობს. ასე მაგალითად, ამ ხანებში პეტერბურგში პირველად დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის იგავების კრებული „სიბრძნე-სიცრუისა". ცნობილმა თერგდალეულმა, ილიას თანამოაზრემ, კირილე ლორთქიფანიძემ აქ შეადგინა და გამოსცა „ჩონგური", რომელშიაც შეტანილია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა პოეტური შედევრები.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული წიგნი საბოლოოდ უბრუნდება თავის კერას—თბილისს, სადაც შედარებით ფართო საგამომცემლო საქმიანობა იშლება. 1865 წლიდან იბეჭდება დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია აქვეყნებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობას" (I ნაწილს), 1867 წელს, ვახტანგ მეექვსის გამოცემის შემდეგ ახალ გამოცემად გამოდის „ვეფხისტყაოსანი".

ქართული სტამბის კეთილმოწყობისა და წიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეს 70-იანი წლებიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით მოჰკიდეს ხელი ილიამ, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, ივ. მაჩაბელმა და სხვებმა. მათი დაუღალავი შრომის შედეგად ქართველმა მკითხველმა შედარებით მოკლე დროში ნაბეჭდი სახით მიიღო ძველი და ახალი კლასიკური ქართული მწერლობის ნიმუშები, სამეცნიერო და საისტორიო ხასიათის ფასდაუდებელი შრომები.

ქართული წიგნის გამოცემის საქმეში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდელ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს თავის დროზე ამშვენებდა გრიგოლ ტატიშვილის მიერ ოსტატურად შესრულებული ხეზე ამოჭრილი გრავიურები.

შემდეგშიც, თვითმპყრობელობის საცენზურო პირობების მსუხედავად, ქართველი ხალხი უდიდეს ინტერესსა და სიყვარულს იჩენდა წიგნისადმი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ნაბეჭდი წიგნების რიცხვი და თემატიკა არნახულად გაიზარდა. ქართველ ახალგაზრდობას ყველა პირობა გააჩნია ხარბად დაეწაფოს წიგნს, როგორც ცოდნისა და განათლების უშრეტ წყაროს.



რომში 1629 წელს ქართულ-იტალიური ლექსიკონის, გამომცემელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი)

ვპასუხობთ შეკითხვაზე

# რატომ არა აქვს ვენერა მილოსელს ხელები

ლუვრის მუზეუმის სიამაყე, საქვეყნოდ ცნობილი ვენერა მილოსელის ქანდაკება 1820 წელს იპოვა მილოსელმა გლეხმა იურგორსმა. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა არქეოლოგიაზე; ქანდაკებას იგი სრულიად შემთხვევით, მიწის დამუშავების დროს წააწყდა. იურგოსმა ეზოში ჯერ ლამაზად გათლილი ქვები ნახა, ასეთი ქვები ბლომათ იყო იმ არემარეში და საკმაოდ ძვირადაც ფასობდა, რადგან გლეხები მათგან სახლებს აგებდნენ. მაგრამ, იურგორსის გასაკვირველად, ახლა ქვებთან ერთად მიწაში საოცარი სილამაზის, ნახევრადშიშველი ქალის ქანდაკებაც აღმოჩნდა. იგი მიხვდა, რომ რაღაც ძვირფასი აღმოაჩინა და თავისი ნაპოვნი ფარდულში გადაიტანა. შემდეგ ეს ქანდაკება როგორღაც საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლის ვინმე მეტევერის ხელში აღმოჩნდა, მან კი იგი ლუვრის მუზეუმს უსახსოვრა. ასე მოხვდა IV საუკუნის ბერძენი სკულპტორის აგესანდრეს გენიალური ქანდაკება პარიზის მუზეუმში.

ვენერამ, რომელსაც კუნძულ მილოსის პატივსაცემად მილოსელი დაერქვა, მალე მოიპოვა მსოფლიო აღიარება. ეს არც არის გასაკვირველი, რადგან მსოფლიოში თითებზეა ჩამოსათვლელი ესოდენ სრულყოფილი ქანდაკება.

აპოლონ ბელვედერელის ქანდაკების მსგავსად, რომელიც მამაკაცის სილამაზის სიმბოლოდ ითვლება, იგი ქალის სილამაზის სიმბოლოდ გადაიქცა. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ ღვთაებრივ ქმნილებას მკლავები არა აქვს; ასე დგას იგი დღეს ლუვრში, ასეა ცნობილი იგი მრავალი მილიონი რეპროდუქციით.

მაგრამ ვენერა თავიდან სრულიადაც არ ყოფილა თურმე ასეთი. ადამიანები, რომლებმაც ქანდაკება ჯერ კიდევ იუგორსის ფარდულში ნახეს, ერთხმად აღიარებენ, რომ მას მკლავები ჰქონდა, მაღლა აშვერილ მარცხენა ხელში ვაშლი სჭერია, ხოლო მარჯვენით თურმე მოსასხამს ისწორებდა.

მაშ, როგორ დაკარგა ვენერამ მკლავები? ვინ შეახო ხელი მილიონებად ღირებულ ქანდაკებას?

ახლა გამორკვეულია, რომ იუგორსი დაპირებით კი დაპირებია, მაგრამ არ დალოდებია საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს და ქანდაკება ბერძენი მღვდლისათვის მიუყიდნია. მილოსზე ჩამოსულ საელჩოს თანამშრომელს გადაუწყვეტია, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ქანდაკება ხელში ჩაეგდო და, როდესაც მღვდლის წინააღმდეგობას წასწყდომია, მეზღვაურები მიუშველებია და ქანდაკება ძალით მოუტაცნია. ჩხუბისა და აურზაურის დროს ვენერა ტალახში წაქცეულა. ფეხით გაუთელიათ და ხელებიც მაშინ მომსხვრევია. ასე დაკარგა ამ ულამაზესმა ქანდაკებამ მკლავები.



საინტერესო თემაზე

# შინაური მკურნალები

მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ოთხი ათასი წლის წინათ ძველი ეგვიპტელები მთელ რიგ ავადმყოფობებს ხახვით ჰკურნავდნენ. ხოლო ნიორი იმდენად ძვირფას სამკურნალო პროდუქტად მიაჩნდათ, რომ იგი საფიცრად ჰქონდათ გადაქცეული; ზოგიერთ ქვეყანაში კი ავადმყოფობიდან თავის დასაცავად ნიორის ბოლქვები მძივებივით ყელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული.

რით აიხსნება ნიორისა და ხახვის სამკურნალო თვისებები? როგორ ებრძვის ეს მცენარეები ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს? ამ კითხვაზე პასუხი დღემდე არ იყო გაცემული და ამიტომ ექიმები დიდხანს ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ მცენარეთა სამკურნალო უნარს.

მაგრამ, არც თუ ისე დიდი ხანია, საბჭოთა მეცნიერმა ტოკინმა დაადასტურა ხახვის, ნიორის, აგრეთვე მუხის, არყის ხის, ნაძვის ხის და ბევრი სხვა მცენარის მიერ ბაქტერიების მოსპობის საოცარი უნარი. ნივთიერებამ, რომელსაც ეს მცენარეები გამოყოფენ, მიიღო სახელი ფიტონციდები (ფიტონ—ბერძნულად „მცენარე",ციდ—„ვკლავ")

საინტერესოა, რომ სწორედ ხახვი და ნიორი—ეს ყოველდღიური, საუკუნეთა მანძილზე ადამიანის მიერ საკვებად ხმარებული მცენარეები—გამოყოფენ ყველაზე მეტ ფიტონციდებს. ხახვისა და ნიორის ფიტონციდები ხოცავენ ისეთ საშიშ ბაქტერიებს, როგორიც არის ტუბერკულოზის, ხუნაგის გამომწვევი მიკრობები, სტაფილოკოკები და სტრეპტოკოკები. ამასთან, ეს ფიტონციდები კარგად მოქმედებენ ადამიანის ნერვულ სისტემაზე, კუჭის წვენის გამოყოფაზე და ძალზე უწყობენ ხელს ქსოვილების აღდგენასა და ზრდას.

თუ რა ძალა გააჩნიათ ფიტონციდებს, იქიდანაც ჩანს, რომ დიდი გამძლეობით ცნობილი ტუბერკულოზის ჩხირები (ფიზიოლოგიური სიმჟავე მათ მხოლოდ 24 საათში ერევა, ხოლო პენიცილინი საერთოდ ვერას აკლებს) მას მხოლოდ ხუთ წუთს უმკლავდებიან.

მართალია, ჯერჯერობით არ არის მიღებული ფიტონციდის პრეპარატი, რომელიც სავსებით განკურნავს ტუბერკულოზს, მაგრამ ლაბორატორიაში მიღებული შედეგები დიდ იმედს იძლევა.

ჭრილობის განსაკურნელად ეს ნივთიერებები უკვე წარმატებით არის გამოყენებული. ერთმა ექიმმა, მაგალითად, როდესაც ჭრილობა დიდხანს არ შეხორცდა, მასთან ხახვის ფაფა მიიტანა, რის შედეგადაც ჭრილობაში ბაქტერიები სავსებით მოისპო. ბაქტერიებზე მოქმედებს არა მარტო სუნი, არამედ წვენიც, ოღონდ ეს უკანასკნელი მოხარშული არ უნდა იყოს, რადგან მოხარშვის შემდეგ ფიტონციდები იღუპებიან.

ფიტონციდები ისე სწრაფად ხოცავენ ბაქტერიებს, რომ მათ მოქმედებას მხოლოდ დიდი ტემპერატურის მოქმედება შეიძლება შევადაროთ.



# კაუჩუკი-სიკვდილია!

(ზანგური ხალხური სიმღერა)

დიდებულია ტყე!
დიდებულია ტყე!
მონა თუ არ ხარ კაცი,
თავისუფალი თუ ხარ.
ვერას დაგაკლებს მზე,
ვერას დაგაკლებს მზე,
შეეფარები ჩეროს,
შეეფარები მუხნარს.
დიდებულია ტყე!
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!
ჩვენთვის ბნელია ტყე!
ჩვენთვის ძნელია ტყე!
ჩვენთვის მტერია ტყე!
ჩვენ მონები ვართ დღეს.
მოგზაურები არ ვართ,
მონადირენი არ ვართ,
მონადიმენი არ ვართ,—
ვეძებთ გევეის ხეს...
დიდებულია ტყე,
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!
ჩვენ მონები ვართ დღეს!
ჩვენ მონები ვართ დღეს!
ბატონად შავი ტყე და
თეთრი პატრონი გვყავს.
—კაუჩუკიო, ჩქარა!
—კაუჩუკიო, ჩქარა!—
თეთრი ბატონი ბრძანებს,
ჩვენ კი ვპასუხობთ მას:
დიდებულია ტყე!
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!

მაინც, ღამით თუ დღისით,
მჭრელი დაშნებით დავალთ,
წვეთავს ლიანებს რძე
და ჩვენ იმ წვეთებს ვთვლით.
ის რძე—სისხლია ჩვენი!
ის რძე—სისხლია ჩვენი!
ჩვენი სიცოცხლის დღენი,
ჩვენი სიცოცხლე თვით!
დიდებულია ტყე!
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!
წყეული კობრა ნაკლებ,
ნაკლებ საშიში გახლავს—
კობრა უეცრად გლახვრავს,
კობრა უეცრად გკლავს.
ხოლო ლიანა—გრძელი
სიცოცხლეს გწოვს და გახმობს,
ნელი სიკვდილით გაქრობს
და გაწყევლინებს თავს.
დიდებულია ტყე!
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!
დედიშობილა დავალთ,
შიშველ-ტიტვლები დავალთ,
ასიათასი მწერი
სიცოცხლის დღეებს გვწოვს.
ტყე—სამარეა ჩვენი!
ტყე—სამარეა ჩვენი!
მუდამ ღია აქვს პირი
და ახალ ზვარაკს გვთხოვს.
დიდებულია ტყე!
მაგრამ გევეის ხე?!
კაუჩუკი რომ სწვეთავს?!—
სიკვდილია!

თარგმნა **მ. ლებანიძემ**

**ნახ. გ. რონიშვილისა**



## წვიმა — შეკვეთით

კოლმეურნეობის თავმჯდომარე იღებს ტელეფონის მილს, აკრეფს ნომერს და ეუბნება:

—ატმოსფერული ნალექების სადგურია? მიიღეთ გეთაყვა შეკვეთა. ხვალ დილით მეორე და მესამე ბრიგადის მინდორზე გვესაჭიროება წვიმა. რაო?.. არა, დიდი არა, ასე, საათნახევრიანი.

ეს საუბარი მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობის ნაწყვეტი არ გეგონოთ—ეს ჩვენი ახლო მომავალია.

კიევის მახლობლად უკვე შექმნილია ატმოსფერული ნალექების სადგური. რადიოლოკატორთან—მორიგე ოპერატორია. ეკრანზე ნელა მოცურავს შავი ლაქები. ეს ლაქები ადასტურებენ რომ ახლოს კოკისპირული წვიმებია.

—ეს ეს არის აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი,—ამბობს ოპერატორი,—ეს—მფრინავი ლაბორატორიაა. მის ბორტზე სპეციალური ხელსაწყოები და მშრალი ყინულის ტვირთია—მკვრივი ნახშირმჟავა.

ღრუბელს ზევით გაფრენისას, თვითმფრინავმა ნახშირმჟავას გრძელი ზოლი დატოვა, ღრუბლები სწრაფად გაიზარდა. სულ რამდენიმე წუთმა გაიარა და წვიმა წამოვიდა.

ატმოსფეროს დაუფლებული ადამიანი სამუდამოდაა თავისუფალი სტიქიური უბედურებისაგან, როგორიც გვალვაა.

## შეიძლება თუ არა ორი ზღვის ერთდროულად დანახვა

ალპინისტები, რომლებიც იალბუზზე ავიდნენ, ამტკიცებენ რომ მათ საოცარი სურათი იხილეს—მწვერვალიდან ერთდროულად გამოჩნდა ორი ზღვა—შავი და კასპისა.

შესაძლებელია ეს?

ცნობილია რომ ადამიანი, რომელიც სწორ ადგილზე დგას, თავის გარშემო მხოლოდ ხუთ კილომეტრზე ხედავს. რაც უფრო მაღლა ავიწევთ, დედამიწის ბურთისებური ფორმის გამო ხილვადობა მით უფრო იზრდება. ამიტომ ყველაზე ფართე ჰორიზონტი მფრინავებისა და და ალპინისტების წინ იშლება ხოლმე. უზარმაზარ იალბუზიდან, რომელიც ზღვის დონიდან 5600 მეტრზე მდებარეობს, ადამიანს 280 კილომეტრზე შეუძლია დანახვა, მაგრამ ჰაერის ფენების სხვადასხვა სიმჭიდროვისა და შუქის გარდატეხის წყალობით, ხილვადობის რადიუსი გაცილებით იზრდება. ასეთ შემთხვევაში, მოწმენდილი ცას დროს იალბუზზე ასულ ადამიანს მართლაც შეეძლო ერთდროულად ორი ზღვა დაენახა.

## გრელანდიის ყინულის საფარველი

გრელანდიის ყინულის საფარველს სამი კილომეტრის სისქე და ოთხი მილიონი კუბური მეტრი მოცულობა აქვს. ეს ყინულის მასა რომ ერთდროულად დადნეს, ზღვებსა და ოკეანეებში წყლის დონე ათი მეტრით აიწევს და დაფარავს ყველა საზღვაო პორტს. საბედნიეროდ ეს ყინული მხოლოდ 10 ათას წელიწადში დადნება.

## იცი თუ არა რომ?

ასტრონომიული დაკვირვებები ძალზე დიდ შრომას მოითხოვენ. გამოჩენილმა ასტრონომმა ლალანდმა თავის სიცოცხლეში იმდენი დაკვირვება აწარმოა ვარსკვლავებზე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ასტრონომთა რამდენიმე ჯგუფი ასი წლის მანძილზე ამუშავებდა მის მიერ მოგროვილ მასალებს.

დედამიწაზე მიწისძვრების რიცხვი ყოველწლიურად დაახლოებით ასი ათასამდე აღწევს. აქედან რამდენიმე ათასს ადამიანი უშუალოდ გრძნობს, დანარჩენს მხოლოდ ხელსაწყოები აღრიცხავენ.

მსოფლიოში ყველაზე მეტი დეპეშა—200 მილიონზე მეტი წელიწადში, იგზავნება საბჭოთა კავშირში; ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 165 მილიონი. მაგრამ არც დეპეშას, არც რადიოს არ ძალუძს შეცვალოს წერილი. წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში იგზავნება 13 მილიარდი წერილი. თუ ვიგულისხმებთ, რომ თითოეული წერილი 25 გრამს იწონის, გამოდის, რომ წლიური მიმოწერის წონა 325 ათასი ტონაა.

## პასუხი „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ გასართობზე

**პასუხი „კროსვორდზე“**

**ვერტიკალურად:** 1. ზოია: 2. დინი; 3. რეპინი; 5. რთველი; 9. საბა; 10. ბაიკალი; 11. აგარაკი; 14. ვაუ; 15. »ალი»; 16. ჭია; 17. რკო; 21. რეჰანი; 22. ანძა; 24. ლიმონი; 26. ჩილი; 27. იდეა.

**ჰორიზონტალურად:** 4. ომი; 6. თელავი; 7. ნობათი; 8. ასი; 12. ყაზბეგი: 13. სვია; 16. ჭირი; 18. ლუკა; 19. ერგი: 20. ტური; 23. ალოე; 25. ოლენეკი; 26. ჩაი; 28. ენგური; 29. დომინო; 30. ლიე.

**პასუხი „შარადაზე“**

1. რაჭა; 2. გელათი.

# ჟურნალ „პიონერის“ საჭადრაკო კონკურსის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსს, რომელიც მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავს, ფართოდ გამოეხმაურნენ საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარული პიონერები მთელს ჩვენ ქვეყანაში. კონკურსის სამივე განყოფილებაში ორ და სამ სვლიან ამოცანებსა და ეტიუდებში—მონაწილეობა მიიღო 180 ნორჩმა კომპოზიტორმა, რომლებმაც გამოგზავნეს 450 ნაწარმოები.

ორსვლიანი ამოცანების კონკურსში ერთმანეთს ეცილებოდა 236 ამოცანა. პირველი პრიზი დაიმსახურა სარატოვის ოლქის, ქ. ბალაშოვის მე-7 სკოლის IV კლასის მოსწავლე სერგეი გერასიმოვმა. ნიჭიერმა პიონერმა რამდენიმე ამოცანა გამოგზავნა, და ერთ-ერთ მათგანში III პრიზიც მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ს. გერასიმოვს კარგად ესმის საკომპოზიციო იდეები, დაუფლებულია შედგენის ტექნიკას. პრიზირებულ ნაწარმოებებში ყველაფერი ეს დამაჯერებლად ვლინდება. პირველი ამოცანა აგებულია ცუგცვანგის, ხოლო მეორე თავისუფალი უჯრების ბლოკირების თემაზე.

II პრიზი მოიპოვა გიორგი გარაგანმა ქ. ლიპეცკის მე-10 სკოლის VI კლასის მოსწავლემ. ამოცანის ღირსებას წარმოადგენს არა მარტო პირველი სვლის გონიერება, არამედ მისი ტექნიკური გაფორმებაც.

საპატიო შეფასება მიეცა ს. გერასიმოვის მინიატურული ფორმის ამოცანას, ხოლო საქები შეფასებები—მოსკოველ ვ. ფიშმანისა და ყაზანელი მოსწავლის ნ. კარპოვის ცუგცვანგის თემაზე კარგად შედგენილ ნაწარმოებებს.

სამსვლიანი ამოცანების კონკურსში, რომელშიც მონაწილეობდა 171 პიონერი, ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა სარატოვის ოლქის, ქ. ბალაშოვის 59-ე სკოლის VI კლასის მოსწავლის ვლადიმერ ბოჩკარიოვის ამოცანა. ნაწარმოებში გვხიბლავს პირველი სვლა, რომლის შემდეგ ნათელი ხდება ნიჭიერი ჭაბუკის ჩანაფიქრი, ღრმა შინაარსითაა აღბეჭდილი ისაკ იარიკევიჩის (ქ. კურსკი მე-18 სკოლა, VI კლასი) ნაწარმოები. ამ ამოცანაში საინტერესოა როგორც პირველი სვლა, ისე მხედრის შეწირვით ორი სიმეტრული შამათი.

ტაგანროგელი პიონერის ალექსანდრე შმოილოვის (მე-10 სკოლა, VI კლასი) ნამუშევარში ვლინდება საკომპოზიციო მასალის დამუშავების კარგი უნარი. დიდი. ენერგიის შემცველია თეთრების. მხედარი.

საჭადრაკო კომპოზიციის ყველაზე ძნელი დარგია საეტიუდო ხელოვნება. ამიტომაც კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ 64 ნორჩი ეტიუდისტი, რომელთაგან დასაჯილდოვებლად შეირჩა 5 ნაწარმოები.

პირველი პრიზით აღინიშნა ელგუჯა ფალავას (ბათუმი, მე-17 სკოლის VII კლასი) ეტიუდი. ბათუმელი ჭაბუკის ნაწარმოებში კარგი შესავალი თამაშის შემდეგ თეთრი მეფე ფიგურების ხელშეწყობით მაგნიტივით იზიდავს საშამათო ქსელში თავის კოლეგას. ეტიუდი მოწმობს იმას, რომ ე. ფალავას სახით გვევლინება ნიჭიერი ეტიუდისტი.

მეორე-მესამე პრიზი გაინაწილეს ა. შმოილოვმა და მ. რუჩკამ. ა. შმოილოვის ეტიუდი შეეხება ჭადრაკის ურთულეს სფეროს—პაიკთა დაბოლოებას ეტიუდი ძალზე მოგაგონებთ პრაქტიკული პარტიის ფინალს, რომელშიც მომხიბლავადაა ჩაქსოვილი ეტიუდური მომენტები. მიხეილ რუჩკას (ხმელნიცკის ოლქი, ·ქ. ლეგიჩევი) უკვე ცნობილი საპატო პოზიცია ახალი შესავალი თამაშით გაუმდიდრებია.

საპატიო შეფასება დაიმსახურა ხმელნიცკის ოლქის, კრაილოვსკის რაიონის სოფ. ზასლუჩნიას სკოლის მოსწავლის ს. პივოვაროვის ეტიუდმა. აქაც ცნობილი საპატო პოზიცია გამოდის ფინალში, მაგრამ საინტერესოა მისი მიღწევის გზა. საქები შეფასება მიიღო ვ. მიროშნიჩენკომ, (სამარყანდის ოლქი, აკ-დარინსკის რაიონი, სოფ. ლაიში) რომლის ეტიუდში მოწონებას იმსახურებს თეთრი მეფისა და კუს შეთანხმებული მოძრაობა შავი პაიკების მოგებისათვის.

კონკურსის მასალები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირში იზრდებიან ნიჭიერი კომპოზიტორები, რომელთაგან ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი შემოქმედებითი წარმატებანი. მათი ნაწარმოებები შედგენილია საკომპოზიციო იდეების კარგი ცოდნით, ეკონომიურად. და მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეზე დგანან. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი პიონერი უპატიოსნოდ მოიქცა. მათ მიითვისეს ცნობილი ოსტატების ნაწარმოებნი და კონკურსზე წარმოადგინეს, როგორც საკუთარი. მსგავსი საქციელი მხოლოდ და მხოლოდ გაკიცხვის ღირსია.

კონკურსი უდაოდ შეუწყობს ხელს საკომპოზიციო ხელოვნების დანერგვის საქმეს ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობაში.

კონკურსის გადაწყვეტილებანი ძალაში შევა დღიდან მისი გამოქვეყნებისა ორი თვის შემდეგ.

კონკურსის მსაჯები: **თ. გიორგაძე, გ. ნადარეიშვილი.**

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ — ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 12, 1958. Тбилиси Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 07737 ტირ. 10.000, ხელმოწერ. დასაბ. 8/XII-58 წ. სტამბის შეკვ. № 1221, გამომც. შეკვ. № 536. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

## დაჯილდოებული ორსვლიანი ამოცანები

I პ რ ი ზ ი

ს. გერასიმოვი
(სარატოვის ოლქი, ქ. ბალაშოვი)



შამათი 2 სვლაში

1. მფe6 თეთრებს ყოველ სვლაზე შამათი აქვთ მომზადებული. 1. ... b5 2. d5✕ 1. ... მf8+ 2. ef კ✕ 1. ... მc5+ 2. dc✕ და ა. შ.

II პ რ ი ზ ი

მ. გარაგანი (ქ. ლიპეცკი)



შამათი 2 სვლაში

1. e4 მუქარაა 2. მe3✕ 1. ... მფb5 2. მc7✕ 1.... მფd4 2. მ:f6✕ 1. ... მფd3 2. მf4✕ 1. .. მ:d5 2. ლ:d5+.

III პ რ ი ზ ი

ს. გერასიმოვი (სარატოვის ოლქი, ქ. ბალაშოვი)



შამათი 2 სვლაში

1. ეf4 შავებს ცუგცვანგი აქვთ 1. ... კ:f4 2. ლh8✕ 1. ... მ:f4 2. ლb2✕ 1. .. მფ:f4 2. კd6✕ 1. .. მh4 2. ეe3✕ 1. ... კg7 2. ეg5✕.

### საპატიო შეფასება

ს. გერასიმოვი (სარატოვის ოლქი, ქ. ბალაშოვი)

თეთრები: მფc4, ეf2, კc8 პ-ბი: d2, d4 (5)
შავები: მფe4, პ-ბი: f4, f6 (3)

შამათი 2 სვლაში

1. ეg2! 1. ... f3 2. ეg4✕ 1. ... f5 2. კb7✕ 1. .. მფf3 2. კb7✕.

### I საქები შეფასება

ვ. ფიშმანი (მოსკოვი)

თეთრები: მფd8, ლf1, ეd4, ეf8 კb2 კh1, მd6, მf6 პ-ბი: c5, d3, f2, f3 h4 (13)
შავები: მფe6, მg4 პ-ბი: e7, f5, h5, h2 (6)

შამათი 2 სვლაში

1. ლh3 ცუგცვანგია 1. ... მc3 2. ეe4✕ 1. ... მ:f2 2. ლ:f5✕ და ა. შ.

### II საქები შეფასება

ნ. კარპოვი (ყაზანი)

თეთრები: მფe5, ლb6, მg4 პ-ბი: h2 (4)
შავები: მფh5, ეh4, პ-ბი: h3, h7, g5 (5)

შამათი 2 სვლაში

1. ლb1! 1. ... ე:g4 2. ლ:h7✕ 1. ... მფ:g4 2. ლd1✕ 1. ... h6 2. მf6✕.

## სამსვლიანი ამოცანები

I პ რ ი ზ ი

ვ. ბოჩკარიოვი (ქ. შიმანოვსკა)



შამათი 3 სვლაში

1. ლa1! (მუქარაა 2. ეe4+) ყველა ვარიანტში თეთრი ლაზიერი აგებს საშამათო ქსელს 1. ... კe1 2. ლ:e1! 1. ... ეg3 2. ლe1! და ა. შ.

II პ რ ი ზ ი

ი. იაკირევიჩი (კურსკი)



შამათი 3 სვლაში

1. კd2 (მუქარაა 2. ... მ:c3+ და 3. ე:e4✕) 1. ... ed 2. მf3+! და 3. e4✕, 1. ... cd 2. მb3! და 3. c4✕ 1. ... კ:d2 2. მფb3 და 3. a8კ✕.

III პ რ ი ზ ი

ა. შმოილოვი (ტაგანროგი)



შამათი 3 სვლაში

1. კd3 მუქარაა 2. მc6+. 1. ... d5 2. ლc7+ მd6 3. მc6✕. 1. ... f5 2. მd7+ მფf4 3. ლc4✕ და ა. შ.

## ეტიუდები

I პ რ ი ზ ი

ე. ფალავა (ბათუმი)



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. ეc2+ მd7 (ერთადერთი სვლაა. სხვაგან თამაშის შემთხვევაში იკარგება ეტლი) 2. მd3! ე:a5 3 მc5+ მფe7 (ისევ იძულებითი სვლა ეტლის შესაძლებელი წაგების გამო) 4. ეe2+ მფf8 (f6) 5. მd7+ მფg7 6. ეg2+ მფh8 7. მf6 მოგებით.

II—III პ რ ი ზ ი

მ. რუჩკა (ხმელნიცკის ოლქი, ქ. ლეტიჩევი)



თეთრები იწყებენ და აღწევენ ყაიმს

1. მc4+! (თეთრები თავის მეფეს უგებენ საპატო ქსელს) 1 ... dc 2. ლd2+ მფa3 3. ლc1+ მფa4 4. ლd1+ მფb5 (მუდმივი ქიშისაგან დაცვის ერთადერთი გზა. მაგრამ) 5. ლh5! ლ:15 და პატია.

II—III პ რ ი ზ ი

ა. შმოილოვი (ტაგანროგი)



თეთრები იწყებენ და აღწევენ ყაიმს

1. მფg3! (ცუდია, მაგალითად 1. a3. 1. ... e5 2. მფg3 e4 3. a4 e3 4. მფf3 e2 5. მფ:e2 მფ:g4 6. მფe3 მფg3 7. მფe1 მფf2 მოგებით) 1. ... e5 2. მფf3 მფh4 3. მფe3 (არვარგოდა 3. მფe4, რადგან შავები იგებენ 3. ... მფ:g4 4. მფ:e5 მფf3 5. მფd5 მფe3 6 მფc6 მფd3 და ა. შ.) 3. ... მფ:g4 4. მფe4 მფg3 5. მფe3 მფg2 6. მფe2 (თეთრი მეფე ოპოზიციაში უდგას თავის კოლეგას და ამიტომ ყაიმი გარდუვალია) 6. ... e4 7. a3! e3 8. მფ:e3 მფf1 9. მფf3 მფe1 10. მფe3 მფd1 11. მფe3 მფc1 12. მფc3 მფb1 13. მფd3 მფa1 14. მფa4 მფb1 (არ შეიძლებოდა 14. .. მფb2 პატის გამო) 15. მფb3 მფc1 16. მფc3 ყაიმი.

### საპატიო შეფასება

ს. პივოვაროვი (ხმელნიცკის ოლქი, კრასილოვსკის რაიონი სოფ. ზახლუჩნია)

თეთრები: მფd6, მa7, პ-ბი: a2, b3, b6, d3 (6)
შავები; მფb3, პ-ბი: b7, c4, c6. g5 (5)

თეთრები იწყებენ და აღწევენ ყაიმს

1. dc! g4 (ეს პაიკი გადის ლაზიერად, თეთრებს არ შეუძლიათ მისი შეჩერება, მაგრამ.) 2. მb5! cb 3. cb g3 4. მფc5 g2 5. მფb4 g1ლ 6. მფa5 ლb1 7. a4 შავები ვერ იყვანენ b3 პაიკს პატის გამო, მაგრამ სხვა სვლის შემთხვევაშიც თეთრები თამაშობენ b3—b4 და მაინც პატია.

---

### საქები შეფასება

ვ. მიროშნიჩენკო (სამარაყანდის ოლქი, აკ- დარინსკის რაიონი, სოფ. ლაიში)

თეთრები: მფb6, კb7, მe6 პ-ბი: g3 (4)
შავები: მფb8, კg4 პ-ბი: f4, f6, g5, h6 (6)

თეთრები იწყებენ და იგებენ

1. მc7 კe2 2. g4 f3 3. მa6+ კ:a6 4. კ:a6 f2 5. მფc6 f1ლ 6. კ:f1 მფc8 7. მფd6 მფd8 8. კb5! მფc8 9. მფe6 მფc7 10. მფ:f6 მოგებით. შავები აგებენ აგრეთვე f6—f5 ან h7—h5 სვლების შემთხვევაში, რადგან თეთრების მეფე ახლოა თავის პაიკთან.



6.32/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდება წელო ახალო!

დიდება, წელო ახალო,
თავზე ვერცხლგადანაყარო!

შენ გეგებება მთაწმინდა,
თეთრი ფერით რომ გაბრწყინდა;
შენ გეგებება კრწანისი,
ალტაცებით და ხალისით!

თბილისი, დედა-თბილისი
ათასხუთასი წლის არი;
ბედნიერება დაჰპირდი,—
ის არის დასაფიცარი.

ძველს ვალი არ დარჩენია,
ახლა კი შენი ჯერია;
კვლავ გამარჯვებით იარე,
კვლავ შრომის მადლს გვაზიარე.

ვთქვათ სიმღერა ქართული,
გავაღოთ გულის კარები;
კვლავაც ბრწყინავდეს მამული
მტერთათვის მიუკარები.

დიდება წელო ახალო,
თავზე ვერცხლგადანაყარო!

ოთარ შალამბერიძე

## ახალი წელი

ახალი წელი—სამშობლოს
ახალი ლონე, ბარაქა!
ახალი წელი—ხალისის
მომტანი სოფლად, ქალაქად!

გვილოცავს დედა მოსკოვი
მომავალ დღეთა დიდებას:
უდაბნოებზეც, ტრამალზეც
სიცოცხლე აბიბინდება;

იმატებს მიწის დოვლათი,
მერცხლების ჟივილ ხივილი,
ნორჩების სიცილ-კისკისი,
ბერიკაცების ღიმილი.

გაისმის ყველა ოჯახში
ჭანგები ბედნიერების,
ბრწყინავს, ჩახჩახებს ნაძვისხე
ნაირნაირი ფერებით.

მოვიდა წელი ახალი,
გზას მშვიდობის მზე უნათებს;
„გილოცავთ, ყველას გილოცავთ!"—
ხმა მოაქვთ კრემლის ქურანტებს.

სიმონ შამფრიანი